



პარანოიდული კითხვა და რეპარაციული კითხვა, ან – შენ ისეთი პარანოია გაქვს, რომ გგონია, ეს სტატია შენზეა¹

ივ კოსოვსკი სეჯვიკი

შიდსის ეპიდემიის პირველი ეტაპის სადღაც შუაში, ჩემს მეგობარ აქტივისტ მეცნიერს, სინდი პატონს, აივ-ის წარმოშობის სავარაუდო ისტორიის შესახებ კითხვებით ვუბურღავდი ტვინს. იმ პერიოდში უამრავი ვარაუდი არსებობდა, რომ ვირუსი მიზანმიმართულად შეიქმნა და გავრცელდა, ან რომ ის აშშ-ის სამხედრო ძალების იმ სქემის თუ ექსპერიმენტის ნაწილი იყო, რომელზეც კონტროლი დაკარგეს. ანდაც შეიძლება ვირუსი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც წინასწარ გათვალეს. მას შემდეგ, რაც პატონისგან სისხლის პროდუქტებით გლობალური ვაჭრობის გეოგრაფიისა და

¹ ივ კოსოვსკი სეჯვიკი, „პარანოიდული კითხვა და რეპარაციული კითხვა, ან – შენ ისეთი პარანოია გაქვს, რომ გგონია, ეს სტატია შენზეა“, "Paranoid Reading and Reparative Reading: Or, You're So Paranoid, You Probably Think this Essay is About You," in *Touching Feeling*, Eve Kosofsky Sedgwick, pp. 123-151. Copyright © 2003, Duke University Press. All rights reserved. Republished by permission of the copyright holder. www.dukeupress.edu

ეკონომიკის თაობაზე ბევრი რამ გავიგე, როგორც იქნა, მონდომებით ვკითხე, თუ რას ფიქრობდა ვირუსის წარმოშობის შესახებ გავრცელებულ ამ აზრებით ჭორებზე. „მისი გავრცელებისას გადადგმული ნებისმიერი ადრეული ნაბიჯი ან შემთხვევითი იყო, ან მიზანმიმართული“, – მიპასუხა. „მაგრამ, მე ამ საკითხით დიდად ვერ ვინტერესდები. აი, თუნდაც კონსპირაციის ყველა ნაწილში დარწმუნებულები რომ ვიყოთ, ვიცოდეთ, რომ აფრიკელებისა და აფროამერიკელების სიცოცხლეს აშშ-ის თვალში ფასი არ აქვს, რომ გეი კაცები და ნარკომომხმარებლები, თუ არ ეზიზღებათ, არც ადარდებთ, რომ შეიარაღებული ძალები მიზანმიმართულად ეძებენ გზებს იმ დაუმორჩილებელთა დასახოცად, რომლებსაც ამავდროულად მტრად აღიქვამენ, რომ ძალაუფლების მქონენი მშვიდად უყურებენ გარემოსა და მოსახლეობაში კატასტროფული ცვლილებების ალბათობას. ამ ყველაფერში დარწმუნებულებიც რომ ვიყოთ, – ისეთს რას გავიგებდით, რაც უკვე არ ვიცით?“

ამ საუბრიდან წლების განმავლობაში ვფიქრობდი პატონის პასუხზე. გარდა იმისა, რომ ორივე ვიზიარებდით გარკვეულ ურყევ პესიმიზმს, ვფიქრობ, ამ პასუხში შესაძლებლობის მომცემი ის ვიპოვე, რომ იგი გვიბიძგებს ავხსნათ და ერთმანეთისგან გავაცალკეოთ იმ ინტელექტუალური ტვირთის ელემენტები, რომელსაც „ექვზის ჰერმენევტიკის“ სახელით დავატარებთ, და რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო და ისტორიულად განპირობებული კავშირები აქვთ. პატონის კომენტარი გვაფიქრებინებს, რომ ფართო და რეალური სისტემური ჩაგვრის მიმართ მკაფიო და ბრაზიანი ხედვის ქონა, თავისთავად ან აუცილებლად არ გვიბიძგებს ეპისტემოლოგიური ან ნარატიული დასკვნების ამა თუ იმ კონკრეტულ ჯაჭვში ჩაბმისკენ. იმის ცოდნა, რომ აივ-ის წარმოშობა და გავრცელება ნამდვილად შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი შეთქმულების შედეგი – გამოდის, რომ შეგვიძლია გავმიჯნოთ კითხვისგან – იქნებოდა თუ არა კონკრეტული შიდსის აქტივისტი ინტელექტუალის თუ ჯგუფის ენერგია ყველაზე გამოსადეგი ამგვარი შესაძლო სქემის გამოკვლევისა და გამოაშკარავებისთვის. შესაძლოა, კი; თუმცა შესაძლებელია – არა. მიუხედავად ეთიკური სირთულისა, თავისთავად ცხადი არ არის, რა არჩევანი უნდა გავაკეთოთ; ამ მეტად საინტერესო „გამოკვლევისა და გამოაშკარავების“ პროექტში ჩაბმა

სტრატეგიული და ლოკალური გადაწყვეტილებაა და არა – აუცილებელი კატეგორიული იმპერატივი. როგორც ჩანს, პატონის მიერ ჩემთვის გაცემულმა პასუხმა სივრცე გახსნა ფიქსირებული კითხვიდან – „არის ცოდნის კონკრეტული ნაწილი ჭეშმარიტი, და საიდან ვიცით ეს?“ – შემდგომ კითხვებამდე: რას *აკეთებს* ცოდნა; მისი შეძენა; მისი ქონა და გამოვლენა; იმის თავიდან გაგება, რაც ისედაც იცი? მოკლედ რომ ვთქვათ, როგორ არის ცოდნა პერფორმატიული და როგორ შეუძლია ადამიანს, საუკეთესოდ იმოძრაოს მის მიზეზებსა და შედეგებს შორის?

ვფიქრობ, ეს არაფრით გამორჩეულ აღმოჩენად უნდა მოგეჩვენოთ: იმაში, რომ ცოდნა უფრო „აკეთებს“, ვიდრე უბრალოდ „არის“, ამ დროისთვის აღმოსაჩენი აღარაფერია. თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარი აღმოჩენების ნამდვილი ძალის უმეტესი ნაწილი კრიტიკული თეორიის იმავე ფორმების ჩვეულმა პრაქტიკებმა დააბლაგვა, რომლებმაც თვითონ ფორმულებს მისცა ფართო გასაქანი. განსაკუთრებით, დასაშვებია, რომ ნამდვილად პროდუქტიულ კრიტიკულ ჩვევებს, თავმოყრილს იმაში, რასაც პოლ რიკიორმა დაუვიწყარი სახელი, „ექვის ჰერმენევტიკა“ შეარქვა – მართლაც ფართოდ გავრცელებულ კრიტიკულ უნარ-ჩვევებს, შეიძლება ამჟამად თითქმის თვითონ კრიტიკის სინონიმს – უნებლიე დამაბრკოლებელი გვერდითი ეფექტი ჰქონოდათ: მათ შეიძლება უფრო შეამცირეს, ვიდრე გააუმჯობესეს ნებისმიერ მოცემულ ცოდნასა და მის ნარატიულ/ ეპისტემოლოგიურ შინაარსს შორის ლოკალური, პირობითი ურთიერთობების გახსნის შესაძლებლობა ცოდნის მამიებლისთვის, მცოდნისთვის ან მთხრობელისთვის.

რიკიორმა ექვის ჰერმენევტიკის კატეგორია მარქსის, ნიცშეს, ფროიდისა და მათი ინტელექტუალი შთამომავლების პოზიციის აღსაწერად გამოიყენა იმ კონტექსტში, რომელიც ისეთ ალტერნატიულ დისციპლინურ ჰერმენევტიკასაც მოიცავდა, როგორც არის ფილოლოგიური და თეოლოგიური „მნიშვნელობის აღდგენის ჰერმენევტიკა“². ამ ფორმულირების შემოთავაზებისას მისი მიზანი აღწერა და კლასიფიკაცია უფრო იყო, ვიდრე იმპერატივის დადგენა. თუმცა, ბოლო დროის მეინსტრიმული ამერიკული კრიტიკული თეორიის კონტექსტში, სადაც თვითონ

² პოლ რიკიორი, „ინტერპრეტაცია: ესე ფროიდის შესახებ“, 1964.

მარქსი, ნიცშე და ფროიდი წარმოადგენენ ახალი ისტორიციისტული, დეკონსტრუქციული, ფემინისტური, ქვიარ და ფსიქოანალიტიკური კრიტიკის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროებს, ეჭვის ჰერმენევტიკის გამოყენება, მჯერა, რომ სავალდებულო მითითებად უფრო არის გაგებული, ვიდრე ერთ-ერთ შესაძლებლობად, სხვა შესაძლებლობებს შორის. ეს ფრაზა ფრედერიკ ჯეიმსონის „ყოველთვის ისტორიულად მიუდექი“ მოწოდებასავით წმინდა გახდა. მის მსგავსად, ესეც უცნაურად თავსდება ახალ პოზიციაზე ათ მცნებაში. ყოველთვის ისტორიულად მიუდექი? რას შეიძლება უფრო ნაკლები კავშირი ჰქონდეს ისტორიულ მიდგომასთან, ვიდრე დამავალდებულებელ, დროში განზოგადებულ ზმნიზებას „ყოველთვის“? ის ბამპერზე მიწებებულ სტიკერებს მაგონებს, რომლებიც სხვა მანქანის მგზავრებს მიუთითებენ: „ეჭვი შეიტანეთ ავტორიტეტში“. შესანიშნავი რჩევაა, თუმცა ამოდაა გახარჯული მათზე, ვინც ავტომობილზე მიკრული ქალაქის ნაგლეჯის ბრძანებას ემორჩილება! იმპერატიული ჩარჩოს ქონა ეჭვის ჰერმენევტიკას სასაცილო მდგომარეობაში აგდებს.

გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე კრიტიკულ პრაქტიკაში ეჭვის მეთოდოლოგიურმა ცენტრალურობამ, მისი თანმხლები პარანოიის ცნების პრივილეგირებაც განაპირობა. პარანოიის მექონე დოქტორ შრებერის შესახებ ფროიდის მიერ დაწერილი ესეც ბოლო პარაგრაფებში გაშლილია დისკუსია იმის თაობაზე, რასაც იგი „განსაცვიფრებელ მსგავსებად“ მიიჩნევს შრებერის დევნის ბოდვის სისტემატურ ფორმასა და საკუთარ თეორიას შორის. ფროიდმა მოგვიანებით ჩინებულად განაზოგადა კიდეც, რომ „პარანოიდთა ბოდვებს უსიამოვნო გარეგანი მსგავსება და შინაგანი ნათესაობა აქვთ ჩვენი ფილოსოფოსების სისტემებთან“, რომელთა შორისაც ის თავის თავსაც მოიაზრებდა³. მისი ცბიერების გათვალისწინებით, ალბათ, სინამდვილეში, პარანოიასა და თეორიას შორის მსგავსება, ფროიდისთვის უსიამოვნო იყო; თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, ის უკვე აღარ მიიჩნევა უსიამოვნოდ. ამგვარ თავსებადობაზე ნებისმიერ ფასად საუბარი შეიძლება გარდაუვალიც იყო; როგორც რიკიორი შენიშნავს: „მარქსისთვის, ნიცშესა და ფროიდისთვის ცნობიერების ფუნდამენტური კატეგორია დამალულისა და ხილულის, ან, თუ

³ ზიგმუნდ ფროიდი, „ზიგმუნდ ფროიდის სრული ფსიქოლოგიური ნაშრომების სტანდარტული გამოცემა“, 1953-.

გნებავთ, სიმულირებულისა და მანიფესტირებულის ურთიერთობაა... ამგვარად, მარქსის, ფროიდისა და ნიცშეს განმასხვავებელი თვისებაა ზოგადი ჰიპოთეზები, როგორც ცრუ ცნობიერების მოქმედების, ისე მისი ინტერპრეტაციის მეთოდის შესახებ. ეს ორი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან ეჭვის მქონე პირი ცბიერი პირის მიერ რეალობის გაყალბების საპირისპირო სამუშაოს ასრულებს”⁴.

ეჭვიანი ორმაგ ბლეს თამაშობს ცბიერის მიმართ: ფროიდის შემდგომი მოაზროვნეების ხელში, დღეისთვის, პარანოია დიაგნოზის ნაცვლად მკურნალობის ინსტრუქციად იქცა. სამყაროში, სადაც არავის სჭირდება, ბოდვითი აშლილობა ჰქონდეს იმისათვის, რომ სისტემური ჩაგვრის მტკიცებულება აღმოაჩინოს, პარანოიდული კრიტიკული პოზიციის მიღმა არსებული ნებისმიერი პოზიციიდან თეორიზება გულუბრყვილობად, ღვთისმოშიშეობად ან მორჩილებად გაიგება. არ მსურს, „პარანოიდის” მაპათოლოგიზებელი დიაგნოზის მნიშვნელობით გამოყენებას დავუბრუნდე, თუმცა დიდ დანაკარგად მიმაჩნია, როდესაც პარანოიდულ ანალიზს მთლიანად კრიტიკული თეორიული ანალიზის შესატყვისად მიიჩნევენ, და არა ერთ-ერთ კოგნიტურ/აფექტურ თეორიულ პრაქტიკად სხვა ალტერნატივებს შორის.

ზოგად კრიტიკულ თეორიაში ეჭვის ჰერმენევტიკის პრესტიჟული სტატუსი გვერდზეც რომ გადავდოთ, კონკრეტულად ქვიარ კვლევებს პარანოიდულ იმპერატივთან სიახლოვის განსაკუთრებული ისტორია აქვს. ფროიდი, რა თქმა უნდა, ქალებთანაც და კაცებთანაც პარანოიის თითოეული შემთხვევის კვალს სპეციფიკურად საკუთარი სქესისადმი ლტოლვის რეპრესიაში ეძებდა. მის ამ ასოციაციას ტრადიციული, ჰომოფობიური ფსიქოანალიტიკური მიდგომა ან ჰომოსექსუალთა პარანოიდულად პათოლოგიზაციისთვის იყენებდა, ანდა პარანოიას მიიჩნევდა გამორჩეულად ჰომოსექსუალურ დაავადებად. „ჰომოსექსუალურ სურვილში”, რომელიც 1972 წელს დაიწერა და ინგლისურად ითარგმნა 1978-ში, გაი ოკეგემი დაუბრუნდა ფროიდისეულ

⁴ პოლ რიკიორი, „ფროიდი და ფილოსოფია: ესე ინტერპრეტაციის შესახებ”, 1970, გვ. 33-34.

ფორმულირებებს, რათა მათგან ისეთი დასკვნა გამოეტანა, რომელიც ფროიდის მავნე და მცდარ მიზეზშედეგობრიობას არ გაიმეორებდა. თუ პარანოია ჰომოსექსუალური სურვილის რეპრესიას ასახავს, ასკვნის ოკეგემი, მაშინ ის უნიკალურად დაწინაურებული სივრცეა არა თვით ჰომოსექსუალობის, როგორც ეს ფროიდიანულ ტრადიციაში ხდება, არამედ ზუსტად მის წინააღმდეგ მიმართული ჰომოფობიური და ჰეტეროსექსისტური რეჟიმის მექანიზმების გამოასაშვარებლად⁵. მოკლედ რომ ვთქვათ, პარანოიის ახსნით ჰომოსექსუალობას კი არ ეფინება ნათელი, არამედ ჰომოფობიისა და ჰეტეროსექსიზმის მუშაობას; თუკი გვესმის, რომ ეს ჩაგვრები სისტემურია, თუკი გვესმის, როგორ მუშაობს სამყარო.

ამგვარად, 1980-იანი წლების შუაში პარანოია ანტიჰომოფობიური თეორიის პრივილეგირებულ ობიექტად გადაიქცა. როგორ გავრცელდა ეს ობიექტის სტატუსი ერთადერთ აღიარებულ მეთოდოლოგიად? 1980-იანების ჩემს ძველ ნაწერებს და ზოგიერთ სხვა კრიტიკას ვუყურებ და ვცდილობ, იმ გარდატეხის ტრაექტორიას მივყვე, რომელიც ამჟამად აღნიშვნის ღირსი ჩანს, მაგრამ იმ დროს, ვფიქრობ, ყველაზე ბუნებრივ სვლად აღიქმებოდა სამყაროში. ახსნა-განმარტების ნაწილი თვითონ პარანოიის თვისებაში მდგომარეობს. მარტივად რომ ვთქვათ, პარანოია გადამდებია, უფრო ზუსტად, პარანოია მიისწრაფვის და მიდრეკილია სიმეტრიული ურთიერთობების, განსაკუთრებულად, სიმეტრიული ეპისტემოლოგიების, შექმნისკენ. როგორც ლეო ბერსანი წერს, „თუ ინტერესს გამოიწვევ, ესე იგი პარანოიდული წაკითხვა გარანტირებული გაქვს. ამდენად, აუცილებლად ეჭვი უნდა შევიტანოთ იმ ინტერპრეტაციებში, რომელთა შთაგონების წყაროც თავად ვართ. პარანოია არსებულის ინტერპრეტაციის გარდაუვალი გაორკეცებაა“⁶. ის ქურდს ქურდის დასაჭერად მომართავს (და თუ საჭიროა, თავად ხდება ქურდი). იგი მომართავს ცბიერებას ეჭვის წინააღმდეგ, ეჭვს – ცბიერების წინააღმდეგ; „იმისთვის, რომ სხვა გაიცნო, თავადაც მსგავსი უნდა იყო“. პარანოიდმა მეგობარმა, რომელსაც სწამს, რომ მის აზრებს ვკითხულობ, ამის შესახებ იქიდან იცის, რომ ჩემს აზრებს კითხულობს; ასევეა ეჭვიანი მწერალი, ის ყოველთვის პლაგიატის დანაშაულებრივ სცენებთან ჩნდება,

⁵ გაი ოკეგემი, „ჰომოსექსუალური სურვილი“, 1993.

⁶ ლეო ბერსანი, „გამოსყიდვის კულტურა“, 1990, გვ. 188.

განურჩევლად, მსხვერპლის თუ ბოროტმოქმედის როლში; ასევე სასამართლო დავების მოყვარული კოლეგა, მას განა მარტო ჰგონია, რომ მასავით კარგად ვიცნობ ცილისწამების კანონს, არამედ საბოლოოდ ასეთად მაქცევს კიდეც (თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი ფიქტიურია).

იმის გათვალისწინებით, რომ პარანოიას, როგორც ჩანს, თავისებური ინტიმური კავშირი აქვს ჰომოსექსუალობის გარშემო არსებულ ფობიურ დინამიკასთან, ალბათ სტრუქტურულად გარდაუვალი იყო, რომ ანტიჰომოფობიური სამუშაოს ყველაზე ნაყოფიერი და ხელმისაწვდომი პრაქტიკები სწორედაც პარანოიდული ხასიათისაა. თუმცა, ამ განვითარებისთვის, სტრუქტურულ მიზეზებთან ერთად, ისტორიული მიზეზებიც უნდა არსებობდეს, რადგანაც მარტივი არ არის სტრუქტურულად ავხსნათ, რატომ ენიჭებოდა ხშირად უპირატესობა პარანოიდული მეთოდოლოგიების გამოყენებას ბოლოდროინდელ არაქვიარ კრიტიკულ პროექტებში – როგორც არის ფემინისტური და ფსიქოანალიტიკური თეორიები, დეკონსტრუქცია, მარქსისტული კრიტიკა ან ახალი ისტორიციზმი. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი დისკუსია პარანოიის შესახებ იშველიებს „გვიანი 1960-იანი წლების პოპულარულ სიბრძნეს: „შენი პარანოია იმას სულაც არ გამოორიცხავს, რომ მართლა გდევნიან“⁷. სინამდვილეში, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ აქსიომის ზოგიერთი ვერსია (შესაძლოა, ჰენრი კისინჯერის გამოთქმაც, რომ „პარანოიდსაც შეიძლება ჰყავდეს მტრები“⁸) იმდენად მყარად არის ჩაბეჭდილი ბეიბი ბუმერების ტვინებში, რომ მტრობის ეპისტემოლოგიების შეცნობის განსაკუთრებული უნარის ქონის უწყვეტ ილუზიას გვიქმნის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მიდრეკილები ვართ ამ მტკიცებითი ფორმულირების გამეორებისკენ, თითქოს მას რაიმე თავისთავადი იმპერატიული ძალა ჰქონდეს: დაშვება, რომ პარანოიდულ ადამიანებსაც კი ჰყავთ მტრები, ისე გამოიყენება, თითქოს მისგან აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს დებულება: „შესაბამისად, თქვენ ვერასოდეს იქნებით საკმარისად პარანოიდული“.

⁷ ჯეიმს ელი ადამსი, „დენდები და უდაბნოს წმინდანები: ვიქტორიანული მამაკაცობის სტილი“, 1995, გვ. 15.

⁸ კოლუმბიის მოკლე ციტატების ლექსიკონი, 1992.

მაგრამ, საწყისი აქსიომის ჭეშმარიტება, – თუნდაც ვივარაუდოთ, რომ ის ჭეშმარიტია, – სინამდვილეში ვერ გადააქცევს პარანოიდულ იმპერატივს თავისთავად ცხადად. ვიღაცამ შეიძლება იმის ცოდნით, რომ „პარანოიის ქონა იმას არ ნიშნავს, რომ მტრები არ გყავს“, დაასკვნას, რომ პარანოიის ქონა მტრების მოსაშორებლად ეფექტური გზა სულაც არ არის. ნაცვლად იმისა, რომ დაასკვნას: „ვერასდროს იქნები საკმარისად პარანოიდული“, ამ პიროვნებამ შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოიტანოს: „მაგრამ მაშინ, მტრების ყოლა იმას არ ნიშნავს, რომ პარანოიდული უნდა იყო“. რაც, კიდევ ერთხელ, ნიშნავს, რომ: სისტემური ჩაგვრის მკაფიოდ დანახვის უნარი, შინაგანად ან აუცილებლობით არ აკავშირებს ადამიანს ეპისტემოლოგიური ან ნარატიული შედეგების რომელიმე კონკრეტულ ჯაჭვთან. პარანოის არქონა (რა თქმა უნდა, დაგვჭირდება უფრო ფრთხილად განვმარტოთ ეს ცნება), ან ცოდნის პარანოიისგან განსხვავებული ფორმების გამოყენება, თავისთავად არ მოიაზრებს მტრობის ან ჩაგვრის რეალობის ან სიმძიმის უარყოფას.

როგორ შეიძლება, ისე გავიაზროთ პარანოია, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს, ის სხვადასხვა ალტერნატიული ეპისტემოლოგიური პრაქტიკის ერთ-ერთ ფორმად წარმოვადგინოთ? ფროიდის გვერდით, ყველაზე სასარგებლო მელანი კლაინისა და სილვან ტომპკინსის ფორმულირებები შეიძლება იყოს (იმდენად, რამდენადაც პარანოია წარმოადგენს როგორც კოგნიტურ, ისე აფექტურ რეჟიმს). კლაინის შრომაში, ჩემთან ყველაზე ახლოს მისი მდგომარეობების ცნება დგას – როგორცაა, მაგალითად, შიზოიდური/პარანოიდული მდგომარეობა, დეპრესიული მდგომარეობა – ნორმატიულად დალაგებული *სტადიების*, მყარი *სტრუქტურების* ან დიაგნოსტიკურადი *პიროვნების ტიპების* საპირისპიროდ. როგორც ჰინშელვუდი წერს თავის „კლაინიანური აზროვნების ლექსიკონში“, „ტერმინი ‘მდგომარეობა’ აღწერს იმ დამახასიათებელ პოზას, რომელსაც ეგო იღებს მის ობიექტებთან მიმართებით... [კლაინს] სურდა, მდგომარეობის იდეით გადმოეცა ბევრად უფრო მოქნილი, წინ და უკან, ერთი მდგომარეობიდან მეორემდე მოძრავი პროცესი, ვიდრე განვითარების ფაზებში ფიქსაციის წერტილებამდე რეგრესირება ჩვეულებრივ გულისხმობს ხოლმე“⁹. ეს მოქნილი წინ და უკან მოძრაობა, რომელიც კლაინიანური მდგომარეობების

⁹ რ.დ. ჰინშელვუდი, „კლაინიანური აზროვნების ლექსიკონი“, 1991, გვ. 394.

იმპლიციტური კომპონენტია, პარანოიდული და რეპარაციული კრიტიკული პრაქტიკების ჩემული ანალიზისთვის სასარგებლო იქნება, არა როგორც თეორიული იდეოლოგიები (და, რა თქმა უნდა, არა როგორც კრიტიკოსების მყარი პიროვნული ტიპები), არამედ – როგორც ცვალებადი და მრავალფეროვანი, ურთიერთდაკავშირებული პოზიციები.

ვფიქრობ, კლაინის კონცეფცია ყველაზე საინტერესო იმით არის, რომ იგი პარანოიდულ მდგომარეობას მისგან საკმაოდ განსხვავებული, დეპრესიული მდგომარეობის საპირწონედ განიხილავს. კლაინის ბავშვისთვის ან ზრდასრულისთვის პარანოიდული მდგომარეობა – რომელიც გარკვევით არის მონიშნული სიძულვილით, შურითა და შფოთვით – საშინელი სიფხიზლის მდგომარეობაა იმ საფრთხეების მიმართ, რომელიც გამოწვეულია სიძულვილითა და შურით სავსე ნაწილობრივი ობიექტებით¹⁰, რომელზეც ადამიანი თავდაცვის მიზნით პროეცირებს და რომელსაც თავისი გარემოცვისგან გამოიზარხავს ან შეისრუტავს. ამის საპირისპიროდ, დეპრესიული მდგომარეობა შფოთვის შემამსუბუქებელი მიღწევაა, რომლის დაკავებას ჩვილი ან ზრდასრული ადამიანი მხოლოდ ზოგჯერ, და ხშირად მხოლოდ მცირე დროით ახერხებს: ეს არის მდგომარეობა, საიდანაც შესაძლებელია საკუთარი რესურსების გამოყენება მომაკვდინებელი ნაწილობრივი ობიექტების ერთ მთლიანობად თავმოსაყრელად ან „აღსადგენად“, – თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავ, არა აუცილებლად მანამდე არსებული მთელის მსგავსად. სუბიექტის თავისებურების მიხედვით შეკრებილი, უფრო დამაკმაყოფილებელი ობიექტი ახლა უკვე ხელმისაწვდომი ხდება მასთან იდენტიფიცირებისთვის, და ასევე საზრდოსა და სიმშვიდის მისაღებად. ერთ-ერთი სახელი, რომელსაც კლაინი რეპარაციული პროცესის აღსაწერად იყენებს, სიყვარულია¹¹.

კლაინისეული მდგომარეობებისთვის დამახასიათებელი არასტაბილურობისა და ურთიერთდამოკიდებულების

¹⁰ მელანი კლაინის ობიექტი-ურთიერთობის თეორიის განმარტება შეგიძლიათ იხილოთ: ნინო გუგუშვილი, ობიექტი-ურთიერთობის თეორია, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ბმული: www.dictionary.css.ge/content/object-relations-theory [რედაქტორის შენიშვნა].

¹¹ მელანი კლაინი, „შური და მადლიერება“, 1957.

გათვალისწინებით, წინამდებარე პროექტში მინდა გულდასმით მოვეკიდო იმ ძლევამოსილ რეპარაციულ პრაქტიკებს, რომლებითაც, დარწმუნებული ვარ, გაჯერებულია თვითდეკლარირებული პარანოიდული კრიტიკული პროექტები; აგრეთვე მაინტერესებს ის პარანოიდული საჭიროებები, რომლებიც ხშირად აუცილებელია არაპარანოიდული შეცნობისა და გამოხატვისთვის. მაგალითად, პატონის მიერ ჩემთვის გაცემული მშვიდი პასუხი აივ ინფექციის წარმოშობის შესახებ, მის საკუთარ თუ სხვების მიერ განხორციელებულ დიდძალ კვლევას ეყრდნობოდა, რისთვისაც პარანოიდული სტრუქტურის ქონაა საჭირო.

მოხერხებულობისთვის, ჩემს კრიტიკულ მაგალითებს ბოლო ათწლეულის ორი გავლენიანი კვლევისაგან ვისესხებ, რომელთაგან ერთი მეტნაკლებად ფსიქოანალიტიკურია, მეორე კი მეტ-ნაკლებად ახალი ისტორიციზმის სფეროს ეკუთვნის – მაგრამ ამას მხოლოდ მოხერხებულობისთვისაც არ ვაკეთებ, რამდენადაც ეს ის წიგნებია (ჯუდიტ ბატლერის „გენდერზე შფოთვა“ და დ.ა. მილერის „რომანი და პოლიცია“), რომელთა ცენტრალურობა ჩემი და ჩემთვის საინტერესო კრიტიკული მოძრაობების აზროვნების განვითარებისთვის, წარმოადგენს მათი შესანიშნავი ძალისა და სანიმუშოობის მაგალითებს. საინტერესოა, რომ თითოეულ მათგანს ნაგულისხმები ან თითქოსდა მარგინალური მიმართება აქვს ქვიარ თეორიის განსხვავებულ მიმდინარეობებთან, მაგრამ ამ გადმოსახედიდან მათ საწყისად ან საფუძვლადაც შეგვიძლია დავინახოთ. და ბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ არცერთი წიგნი არ არის მათი ავტორების უახლესი ნაშრომი და იმედი მაქვს, რომ ამ წიგნებში შემოთავაზებული დაკვირვებები კითხვის პრაქტიკების შესახებ თავიდან აირიდებს ავტორების სახელებზე, თითქოს ალეგორიულად, მიკერებას.

მსურს დასაწყისშივე ამ დისკუსიის ფარგლებს გარეთ გავიტანო ნებისმიერი გადაკვეთის წერტილი, რომელიც, ერთი მხრივ, პარანოიასა და, მეორე მხრივ, იმ მდგომარეობებს შეიძლება ჰქონდეს, რომლებსაც ხან დემენცია პრაეკოქსს (კრეპელინი), ხან შიზოფრენიას (ბლოილერი), ხან კი, უფრო ზოგადად, ბოდვით აშლილობას ან ფსიქოზს უწოდებენ. როგორც ლაპლანში და პონტალისი შენიშნავენ, ფსიქიატრიის ისტორიამ ამ გადაკვეთის აღწერის მრავალი გზა სცადა: „კრეპელინი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისგან, ერთი

მხრივ, პარანოიასა და, მეორე მხრივ, დემენცია პრაეკოქსის პარანოიდულ ფორმას; ბლოილერი მკურნალობს პარანოიას, როგორც დემენცია პრაეკოქსის ქვეკატეგორიას, ან როგორც შიზოფრენიების ჯგუფს; რაც შეეხება ფროიდს, ის მზად არის, დემენცია პრაეკოქსის გარკვეული, ე.წ. პარანოიდული ფორმები პარანოიის სათაურის ქვეშ მოათავსოს ... [მაგალითად, შრებერის] „პარანოიდული დემენციის“ შემთხვევა, არსებითად, სწორედ პარანოიაა [და, მაშასადამე, არა შიზოფრენიის ფორმა] ფროიდის თვალში”¹². ამავდროულად, კლაინის შემდგომ ნაშრომებში, ფსიქოზისნაირი ფსიქიკური მოვლენები ერთნაირად ხდება როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში, ასე რომ, მექანიზმებს, როგორცაა პარანოია, გააჩნიათ აშკარა ონტოლოგიური პრიორიტეტი ისეთ დიაგნოსტიკურ კატეგორიებთან შედარებით, როგორც არის დემენცია. რატომაც ასე დაჟინებით მოვითხოვ ამ ნაბიჯის გადადგმას, კიდევ ერთხელ რომ გავიმეორო, ის არის, რომ ვცდილობ, ჰიპოთეტურად გამოვათავისუფლო ჭეშმარიტების ღირებულების საკითხი პერფორმატიული ეფექტის საკითხისგან.

მე ვამბობ, რომ პარანოიდული პრაქტიკების კითხვის ქვეშ დაყენების ძირითადი მიზეზები განსხვავდება იმ დაშვებისგან, რომ მათი ეჭვები შეიძლება იყოს ბოდვითი ან უბრალოდ არასწორი. ამავდროულად, პარანოიდული სტრატეგიების გამოყენების ზოგიერთი ძირითადი მიზეზი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ შესაძლებლობისგან, რომ ისინი ჭეშმარიტ ცოდნაზე უნიკალურ წვდომას გთავაზობენ. ისინი ცოდნის ძიების, პოვნისა და ორგანიზების ერთ-ერთ გზას წარმოადგენენ სხვა გზებს შორის. პარანოიამ ზოგიერთი რამ კარგად იცის, სხვა რამეები კი – ცუდად.

ამასთან დაკავშირებით, ახლა მსურს აღვწერო რაღაც კომპოზიციური ესკიზის მსგავსი იმისა, რასაც პარანოიაში მოვიაზრებ – არა როგორც დიფერენციული დიაგნოზის ინსტრუმენტს, არამედ როგორც პრაქტიკის დიფერენციალების უკეთესად დანახვის ინსტრუმენტს. ჩემი მთავარი სათაურებია:

პარანოია *მოლოდინია*.

პარანოია *რეფლექსური და მიმეტურია*.

¹² ჯ. ლაპლანში და ჯ.ბ. პონტალისი, „ფსიქოანალიზის ენა“, 1973, გვ. 297.

პარანოია ძლიერი თეორიაა.

პარანოია უარყოფითი აფექტების თეორიაა.

პარანოიას გამოაშკარავების სწამს.

პარანოია მოლოდინია

ის, რომ პარანოია ნიშნავს მოლოდინს, აშკარაა ამ ფენომენის შესახებ არსებული თითოეული თვალსაზრისიდან და თეორიიდან. პარანოიის პირველი იმპერატივი ცუდი სიურპრიზებისთვის თავის არიდებაა. და მართლაც, როგორც ჩანს, სწორედ სიურპრიზისადმი ზიზღია ის, რაც პარანოიასა და ცოდნას, როგორც ასეთს, შორის მჭიდრო კავშირს ამყარებს, და ეს როგორც ეპისტემოფილიურ, ისე სკეპტიკურ დამოკიდებულებებს მოიცავს. როგორც დ.ა. მილერი აღნიშნავს წიგნში „რომანი და პოლიცია“, „სიურპრიზი... სწორედ ის არის, რის აღმოფხვრასაც პარანოიდული სუბიექტი ცდილობს. მაგრამ, ამასთან ერთად, თუ მართლაც რამე მოხდება, სიურპრიზისთვის თავის არიდებას პარანოიდული სუბიექტი მეტი კითხვით ახერხებს, რომელიც შიშისმომგვრელი საცდურია: იგი ვერასოდეს იქნება საკმარისად პარანოიდული“¹³.

პარადოქსია, რომ პარანოიის ერთმიმართულებიანი, მომავალზე ორიენტირებული სიფხიზლე კომპლექსურ კავშირს წარმოქმნის დროსთან მიმართებით, რომელიც ორივე მიმართულებით, წინაც და უკანაც მოძრაობს: რადგან ცუდი სიურპრიზები არ უნდა მოხდეს, და რადგან ცუდი სიურპრიზის ალბათობის გაგება თავადვე იქნებოდა ცუდი სიურპრიზი, პარანოია მოითხოვს, რომ ცუდი ამბები ყოველთვის უკვე ვიცოდეთ. როგორც მილერის ანალიზითაც ჩანს, პარანოიის დროებითი პროგრესი და რეგრესი, პრინციპში, უსასრულოა. ვფიქრობ, რომ ალბათ აქედან გამომდინარეობს „გენდერზე შფოთვაში“ ბატლერის განმეორებითი და ჩაკირკიტებული დემონსტრაცია იმისა, რომ არ არსებობს გენდერული განსხვავებულობის ყოვლისმომცველი კანონის ამოქმედებამდელი მომენტი; და აქედან გამომდინარეობს მისი დაუოკებელი მონდომება, რომ სხვა თეორეტიკოსების ნაშრომებში ამ არარსებული წინარე მომენტის მიმართ არსებული ნოსტალგიის კვალი იპოვოს.

¹³ დ.ა. მილერი, „რომანი და პოლიცია“, 1988, გვ. 164.

არასოდეს არის ზედმეტად ადრე იმისთვის, რომ უკვე-გცოდნოდა, რომ უკვე-გარდაუვალი-იყო, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. და ვერც ერთი დანაკარგი ვერ იქნება ისეთი შორეული, რომ მისი მნიშვნელობა წინასწარ ჩამოვწეროთ.

პარანოია რეფლექსური და მიმეტირია

პარანოიის სიმეტრიული ეპისტემოლოგიების მიმართ გადამდებ სწრაფვაზე როდესაც ვსაუბრობდი, მის ორმაგ თვისებას, რეფლექსურობასა და მიმეტურობას ვეყრდნობოდი. პარანოიის გაგება იმიტაციას მოითხოვს, და პირიქით, პარანოიას მხოლოდ იმიტაციის საშუალებით ესმის. პარანოია მოიაზრებს ორივეს – „ნებისმიერი რამ, რაც შენ შეგიძლია დამმართო (მე), მე შემიძლია უარესი დავიმართო” და „ნებისმიერი რამ, რაც შენ შეგიძლია დამმართო (მე), მე შემიძლია პირველმა დავიმართო”. წიგნში „რომანი და პოლიცია”, მილერი გაცილებით უფრო პირდაპირია, ვიდრე ფროიდი იმ წყვილი დებულებების აღიარებისას, რომ პარანოიას მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა თვითონ იყენებ პარანოიდული შეცნობის გზას და რომ პარანოია ნებისმიერ მოვლენას იმიტაციისა და განსახიერების გზით შეიცნობს. ის, რომ პარანოია უარს აცხადებს, იყოს ან მხოლოდ შეცნობის გზა, ან მხოლოდ შეცნობილი საგანი და ორივე პოზიციის დაკავებისკენ დაჟინებით ისწრაფვის, მახვილგონივრულად არის დრამატიზებული პარანოიის ამ ჩინებული კვლევის პირველივე გვერდიდან: წინასიტყვაობა, სახელად „თუმცა, ოფიცერო...” იწყება უკვე ეჭვით სავსე წინადადებით იმის შესახებ, რომ „ყველაზე უინტერესო (ან თაღლითურ) „სამეცნიერო ნაშრომსაც” კი ეშინია, რომ პრობლემები შეექმნება”, მათ შორის, პრობლემა „მეტოქეებთან, რომელთა განსაკუთრებულ თავდასხმებსაც ის განუწყვეტლივ ელოდება”¹⁴. წიგნის ბოლო პარაგრაფში აღწერილი „დევიდ კოპერფილდის” მსგავსად, თავად მილერიც „ახლოს არის ისეთ ... პატერნთან, რომელშიც სუბიექტი დისციპლინის „წინააღმდეგ” თავს ამ

¹⁴ და.ა. მილერი, „რომანი და პოლიცია”, 1988, გვ. 7.

დისციპლინის საკუთარ სახელთან¹⁵ ან თუნდაც საკუთარ სხეულთან გაიგივებით აფუძნებს¹⁶.

მაშასადამე, როდესაც მას არადიაგნოსტიკურ კონტექსტში განვიხილავთ, გასაკვირი არ არის, რომ პარანოია, როგორც ჩანს, კარგად გაჯერებულ ხსნარში მოთავსებული კრისტალივით გაიზრდება და შეცნობის ალტერნატიული გზების ნებისმიერ შესაძლებლობას წაშლის, ისევე, როგორც შესაცნობ მოვლენებს. მოგვიანებით მეტს ვისაუბრებ ასე გაგებული პარანოიის, როგორც ერთმნიშვნელოვნად „ძლიერი თეორიის“ სტატუსსა და მის სხვადასხვა შედეგზე. უფრო მნიშვნელოვანი კი შეიძლება ის იყოს, თუ რამდენად მკაცრად შემოსაზღვრავს პარანოიის მიმეტიზმი მის, როგორც პოლიტიკური და კულტურული ბრძოლების მედიუმის, პოტენციალს. როგორც 1986 წლის ესეში აღვნიშნავდი (და როგორც ხდება ხოლმე, მაშინ არაპირდაპირ მივანიშნებდი ერთ-ერთ ესეზე, რომელიც მოგვიანებით წიგნში „რომანი და პოლიცია“ შევიდა): „აქ პრობლემა მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ პარანოია სიყვარულის ფორმაა, რადგან ზოგიერთ ენაში რა არ არის? პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარულის ყველა ფორმისგან პარანოია იმით გამოირჩევა, რომ ის ყველაზე ასკეტურია, *პარანოია ისეთი სიყვარულია, რომელიც ყველაზე ნაკლებს მოითხოვს თავისი ობიექტისგან...* ფუკოსეული პარანოიის მიერ შესრულებული საუცხოო თხრობითი სამუშაო, რომელიც ინსტიტუციების თანადროულ ქაოსებს თანმიმდევრულ, გაქცევებისა და შეპყრობების ციკლის საოცრად დახვეწილ დიაგრამად გარდაქმნის, ამავდროულად, ემსახურება იმ მიზანს, რომ პარანოიდულმა სუბიექტმა გამოაცხადოს, რომ ყველაფერზე მოფერებითა თუ ძალადობრივი ფორმით სასაუბროდ მზადაა და რომ ფრაგმენტირებულ საგანთა წესრიგს მანამდე მხოლოდ თხრობადობა, სხეული, შემეცნება აკლდა”¹⁷.

მიუხედავად რისკისა, რომ ჩემი ანალიზი შეიძლება ძალიანაც რედუქციული იყოს, მინდა შემოგთავაზოთ დაშვება, რომ ამ მომლოდინე, მიმეტურმა მექანიზმმა ასევე შეიძლება ნათელი

¹⁵ იქვე, გვ. 220.

¹⁶ იქვე, გვ. 191.

¹⁷ ივ კოსოვსკი სეჯვიკი, „გოთიკური კონვენციების თანმიმდევრულობა“, 1986, გვ. 11.

მოჭვინოს ბოლოდროინდელ ფემინისტურ და ქვიარ თეორიებში ფსიქოანალიზის გამოყენების გასაკვირ მახასიათებელს. ლაკანი რომც გვერდზე გადავდოთ, ცოტა ნამდვილი ფსიქოანალიტიკოსი თუ იოცნებებს, ისევე დაბეჯითებით ამტკიცოს „სქესობრივი განსხვავების“ და „ფალოსის“ (როგორი არანამდვილიც უნდა იყოს) ფაქტების გარდაუვალი, შეუზღუდავი, გვერდაუვლელი და ყოვლის-მომცველი ცენტრალურობა თითოეული ფსიქიკური მომენტისთვის, როგორც ამას ბევრი ოპოზიციური თეორეტიკოსი აკეთებს – და მათ შორის ბატლერი ყველაზე მეტად დაჟინებული სულაც არ არის. ასეთი, ხშირად ტავტოლოგიური შრომებიდან, ძნელი იქნებოდა, გაგვეგო – ფროიდიდან მოყოლებული, მათ შორის, მაგალითად, მელანი კლანის გვიანდელ ნაწერებში, – რომ ფსიქოანალიტიკური აზროვნების ისტორია უამრავ განსხვავებულ, მრავალფეროვან ინსტრუმენტს გვთავაზობს პიროვნების, ცნობიერების, აფექტის, ფილიაციის, სოციალური დინამიკის და სექსუალობის ასპექტებზე საფიქრლად, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ გენდერისა და ქვიარობის გამოცდილებისთვის რელევანტურია, ხშირად საერთოდ არ არიან ცენტრალიზებულად ორგანიზებულები „სქესობრივი განსხვავების“ გარშემო: ისინი არა მარტო აუცილებლად „სქესობრივი განსხვავებამდე“ არსებობენ, არამედ შეიძლება სადღაც მის გვერდით, მასთან ირიბ ან პირობით კავშირში მყოფად, ან საერთოდ განცალკევებით დავინახოთ.

თვალნათლივ, ამგვარი აზროვნებისა და სპეკულაციების რეზერვუარს შეეძლო, მნიშვნელოვანი რესურსი შეექმნა იმ თეორეტიკოსებისათვის, რომელთა მიზანიც ადამიანის ცხოვრების ისე გადააზრებაა, რომ ფსიქოანალიზისა თუ თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა პროექტებში არსებული მცდარი გენდერული დაშვებები არ გაიმეორონ. ამის ნაცვლად, რაც მოხდა, ვფიქრობ, რომ მსგავსია შემდეგისა: პირველი, იმის საშუალებით, რასაც ფხიზელი სკანირების პროცესი შეიძლება ეწოდოს, ფემინისტები და ქვიარები სწორად მიხვდნენ, რომ ფსიქოანალიტიკური აზროვნების არც ერთი საკითხი ან სფერო არ შეიძლება გამოცხადდეს აპრიორი იმუნიტეტის მქონედ ამგვარი მცდარი გენდერული დაშვებების გავლენისგან. თუმცა მეორე ის არის, რომ (მეჩვენება, რომ არასაჭიროდ და ხშირად საზიანოდ) ამგვარი იმუნიტეტის არქონამ, ფსიქოანალიზის შიგნით

ფემინისტური აზროვნებისთვის წინასწარი განწყობებისგან გარანტირებულად თავისუფალი საწყისი წერტილის არარსებობამ, ბიძგი მისცა ზოგიერთი მოაზროვნის მიერ მოლოდინის მიმეტური სტრატეგიის ფართოდ გამოყენებას, რომლის თანახმადაც, გარკვეული, სქესობრივი დიფერენციაციის სტილისტური ძალადობა ყოველთვის უნდა დავუშვათ ან ვივარაუდოთ – და ზოგჯერ, თუ საჭირო გახდა, თავსაც მოვახვიოთ – მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის ბოლომდე ვერასოდეს გამოირიცხება. (სიტყვა „მიმეტურის“ გამოყენებისას არ ვგულისხმობ იმას, რომ ფსიქოანალიტიკური გენდერული კატეგორიების ეს მნიშვნელობები აუცილებლად არაკრიტიკული ან იდენტური უნდა იყოს ორიგინალების მიმართ. ბატლერმა, სხვებთან ერთად, გვასწავლა „მიმეტურის“ გაცილებით ნაკლებად ვიწრო გამოყენება.) თუმცა, მაგალითად, ამ პოსტლაკანისეულ ტრადიციაში, თუ ფსიქოანალიტიკური იდეა, პირველ რიგში, ფალიკური „სქესობრივი განსხვავების“ ცენტრალურობის გარშემო არ არის ორგანიზებული, ის ასეთ ენაზე მანამ უნდა ითარგმნოს, სანამ რამე თეორიული მიზნით გამოვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს ხშირად არასწორი დასკვნებისკენ მივყავართ. „სქესობრივი განსხვავების“ ჩარჩოსგან განსხვავებულად ფიქრის პირობითი შესაძლებლობები იმ პარანოიდულ იმპერატივს ემორჩილება, რომ თუკი ასეთი გენდერული განსხვავების დადგენის დანაშაულს თავიდან ვერ ავირიდებთ, ცნებების არენაზე ის სიურპრიზად მაინც არ უნდა გამოჩნდეს. ანუ, პარანოიდული თვალსაზრისით, ასეთი მცდარი გენდერული დაშვებების მიმართ მოლოდინის არქონა, მათთვის წინააღმდეგობის არგაწევაზე უფრო საშიშია.

პარანოია ძლიერი თეორია

სწორედ ასეთი მიზეზების გამოა, რომ სილვან ტომკინსის ნაშრომში პარანოია შემოთავაზებულია, როგორც ბრწყინვალე მაგალითი იმისა, რასაც ტომკინსი „ძლიერი აფექტის თეორიას“ უწოდებს – ამ შემთხვევაში, პარანოია ძლიერი დამცირების ან დამცირების შიშის თეორიაა. როგორც მე-3 თავშია ახსნილი, ტომკინსის მიერ ტერმინ „ძლიერი თეორიის“ გამოყენებას (სინამდვილეში, საერთოდ მის მიერ ტერმინ „თეორიის“ გამოყენებას) ორმაგი ვალენტობა აქვს. ის სცდება ფროიდის ნააზრევს, ვთქვათ, პარანოიასა და თეორიას შორის

არსებულ შესაძლო მსგავსებებზე; ტომკინსის ნაშრომში, რომელსაც უკუკავშირის პროცესებში ადრეული კიბერნეტიკის ინტერესის ძლიერი კვალი ეტყობა, თითოეული ადამიანის კოგნიტურ/ემოციური ცხოვრება ორგანიზებულია აფექტის ალტერნატიული, ცვალებადი, სტრატეგიული და ჰიპოთეტური თეორიების თანახმად. შედეგად, დასაწყისიდანვე არ იქნებოდა არანაირი ონტოლოგიური განსხვავება ფროიდისა და, ვთქვათ, მისი ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ობიექტის თეორეტიკების აქტებს შორის. ტომკინსი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ფროიდის თეორიაში არ არის რეფლექსიის მეტა-დონე, არამედ იმას, რომ თავისთავად აფექტი, ჩვეულებრივი აფექტი, რამდენადაც სხეულებრივია, იმდენად ცენტრალურად არის ფორმირებული უკუკავშირის პროცესის გავლით, ამგვარ თეორიულ მეტა-დონეებთან წვდომის გამო. ტომკინსი ერთმანეთისგან არ განასხვავებს აფექტის თეორიის ერთი სახის გაგებას, რომელიც სხვადასხვა მეცნიერის მიერ აფექტის ექსპლიციტურ თეორეტიკებას გულისხმობს, და მეორე სახის გაგებას – რომელიც უფრო ჩუმი და რომელსაც თითოეული ადამიანი მიმართავს, როცა განიცდის და ცდილობს, საკუთარ და სხვების გრძნობებს გაუმკლავდეს.

პარანოიისთვის ძლიერი თეორიის წოდება, ერთდროულად ნიშნავს, რომ ის ვიზეიმოთ როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა (ის ისეთივე ძლიერი თეორიაა, როგორც ჰაროლდ ბლუმისთვის არის მილტონი ძლიერი პოეტი) და, ამასთან ერთად, მისი კლასიფიცირება მოვახდინოთ. ის აფექტის თეორიის ერთ-ერთი სახეობაა დანარჩენ შესაძლო სახეობებს შორის, და, ტომკინსის აზრით, ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას სხვადასხვა სახეობისა და სიმძლავრის მქონე ურთიერთდაკავშირებული აფექტის თეორიები განსაზღვრავს. მეტად მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ტომკინსთან ძლიერი თეორია შეპირისპირებულია სუსტ თეორიასთან და ეს შეპირისპირება ნებისმიერ შემთხვევაში ძლიერი თეორიის უპირატესობას არ გულისხმობს. ძლიერი თეორიის გავრცელება და შეზღუდულობა – რაც მის კონცეპტუალურ ეკონომიკას ან ელეგანტურობას გულისხმობს, მის ღირებულებებსაც ისევე მოიცავს, როგორც მის ნაკლოვანებებს. ტომკინსთან ხომ ძლიერი თეორიის მახასიათებელი ის სულაც არ არის, თუ რამდენად ახერხებს ეს თეორია ნეგატიური აფექტის თავიდან აცილებას ან პოზიტიური

აფექტის პოვნას, არამედ იმ სივრცის ზომა და აგებულება, რომელსაც ის აყალიბებს. „ნებისმიერ ფართოდ განზოგადებად თეორიას“, – წერს ის:

„...შეუძლია ასახოს ფენომენების ფართო სპექტრი, რომლებიც ძალიან დაშორებული ჩანს ერთიმეორისგანაც და საერთო წყაროსგანაც. ეს ის საყოველთაოდ მიღებული კრიტერიუმია, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მეცნიერული თეორიის განმარტებითი ძალის შეფასება შესაძლებელია. თუ თეორიას მხოლოდ „ახლოს მყოფი“ ფენომენების ახსნა შეუძლია, ის სუსტი თეორიაა, ოდნავ უკეთესი, ვიდრე იმ ფენომენების აღწერა იქნებოდა, რომლის ახსნასაც ისახავს მიზნად. რაც უფრო შორეულ მოვლენებს აერთიანებს თეორია ერთი სახის ფორმულირებაში, მისი ძალა მით უფრო იზრდება... დამცირების თეორია იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც იგი, ერთი მხრივ, უფრო და უფრო მეტი გამოცდილების თავმოყრის საშუალებას იძლევა, როგორც დამამცირებელი გამოცდილების შემთხვევებისა, ან რამდენადაც ის საშუალებას იძლევა, უფრო და უფრო მეტად ვიწინასწარმეტყველოთ ასეთი ვითარებები, სანამ რეალურად მოხდებოდეს¹⁸.

როგორც ეს განმარტება წარმოაჩენს, დამცირების თეორია იმით არ არის ძლიერი, რომ დამცირების ფაქტის შემცირების ან დაძლევის შესაძლებლობას იძლევა. არამედ ის ზუსტად იმდენად ძლიერდება, რამდენადაც ამის მიღწევას ვერ ახერხებს¹⁹. ტომკინსის დასკვნა არ

¹⁸ „აფექტი, გამოსახულება, ცნობიერება“, 1964, გვ. 433-434.

¹⁹ ტომკინსის განმეორებითი თეორია სისუსტეზე არის ის, რაც ბევრ ჩვენგანს საშუალებას გვაძლევს, ხშირად გადავკვეთოთ ქუჩა შიშის გარეშე: მოქმედებათა ნაკრები, რომელიც ერთ ფრაზაშია შეჯამებული „ქუჩის გადაკვეთამდე მის ორივე მხარეს გაიხედე“ და რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ისე იმოქმედოს, რომ თითქოს ეშინია, რათა შიშის ნამდვილ გამოცდილებას თავი აარიდოს – აფექტი ზემოქმედებს მანძილზე“. ამ თეორიის სისუსტე მისი შეზღუდული არეალია, რომელიც დასაწყისში შეიძლება დავინახოთ, როგორც ქუჩაზე გავლა, სადაც ბავშვობაში პირველად ისწავლა წესები [პიროვნებამ], შემდგომ გაფართოვდა და სხვა ქუჩებზე, ან ქუჩის მსგავს გადასასვლელებზე დაიწყო სიარული, ამის შემდეგ უფრო გაფართოვდა და ველოსიპედით ან მანქანით

არის, რომ ყველა ძლიერი თეორია არაეფექტურია – მართლაც, ის შეიძლება ძალიან ეფექტურიც კი იყოს – არამედ ის, რომ „აფექტის თეორია უნდა იყოს ეფექტური იმისთვის, რომ იყოს სუსტი“:

„ახლა უფრო ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულ და სუსტ თეორიას ყოველთვის არ შეუძლია წარმატებით დაიცვას ინდივიდი უარყოფითი აფექტისგან, მას გაუჭირდება სუსტად დარჩენა, თუ ამას არ გააკეთებს. და პირიქით, პარადოქსულად, უარყოფითი აფექტის თეორია ძალას იკრებს მისი სტრატეგიების მუდმივი ჩავარდნის წყალობით, რომ შეძლოს ინდივიდის დაცვა ნეგატიური აფექტის განცდის წარმატებით არიდების გზით... სწორედ უარყოფითი აფექტის განცდის განმეორებადი და, როგორც ჩანს, უკონტროლო გავრცელებაა ის, რაც აღვივებს იდეო-აფექტურობის ორგანიზების ძალას, რომელსაც ჩვენ ძლიერი აფექტის თეორიას ვუწოდებთ“²⁰.

ტარება მოიცვა. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ეს სუსტი თეორია უცებ ძლიერი ხდება: „თუკი პოროვნება ვერ იპოვის იმ წესებს, რომელთა დახმარებით მას ქუჩის გადაკვეთა შფოთვის გარეშე შეეძლება [მაგალითად, უბედური შემთხვევების გამო], მაშინ მისი გამკლავების სტრატეგიები უფრო და უფრო დიფუზური გახდება“. ამ პირობებში, ინდივიდი, შესაძლებელია, პირველ რიგში, იძულებული გახდეს, ყველა გადატვირთულ ქუჩას აარიდოს თავი და შემდგომ, გარეთ მხოლოდ გვიან გავიდეს, როცა მოძრაობა მსუბუქია. საბოლოოდ ის რჩება სახლში, და თუკი მის საცხოვრებელს მანქანა დარტყამს, იგი თავშესაფარს მოძებნიდა. ძლიერი თეორია უფრო მეტად წარმატებული არ არის ნეგატიური აფექტის პრევენციის მიმართულებით; ამ შემთხვევაში, სრულიად საწინააღმდეგო. შეიცვალა როგორც თეორიის კონცეპტუალური გადამცემები, ისე – პრევენციული სტრატეგიები. ინდივიდმა უფრო მეტი რამ ჩათვალა ქუჩად: ძლიერი შიშის თეორეტიკოსი ყოველთვის მზადაა, გააფართოოს საკუთარი თეორიის არეალი (ეს განმარტება მოდის ადამ ფრანკისა და ჩემ მიერ დარედაქტირებული წყაროდან „სირცხვილი და მისი დები: სილვან ტომკინსის საკითხავი“, 1995, გვ. 27-28.

²⁰ იქვე, გვ. 323-324.

აფექტის თეორია, სხვა რამეებთან ერთად, შერჩევითი შესწავლისა და განვრცობის მეთოდია; ამ მიზეზით, ნებისმიერი აფექტის თეორია რისკავს, იყოს გარკვეულწილად ტავტოლოგიური, მაგრამ მისი ფართო მოცვისა და მკაცრი შერჩევითობის გამო, ძლიერი თეორია მიდის იმის რისკზე, რომ ძლიერ ტავტოლოგიური იყოს:

„ნათქვამი გვაქვს, რომ მონოპოლისტურ დამცირების თეორიაში ზეორგანიზებას აქვს ადგილი. ამაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მეტისმეტ ინტეგრაციას ქვესისტემებს შორის, რომლებიც ჩვეულებრივ უფრო დამოუკიდებლები არიან, არამედ იმას, რომ თითოეული ქვესისტემა სპეციალიზებულია, რათა დამცირების გამოცდილების მინიმუმამდე შემცირების ინტერესს ემსახუროს... მთელი კოგნიტური აპარატი იმყოფება მუდმივი სიფრთხილის რეჟიმში შესაძლებლობების მიმართ, იქნება ის მყისიერი თუ შორეული, ბუნდოვანი თუ მკაფიო.

როგორც ნებისმიერი კარგად ორგანიზებული დეტექტიური სამუშაოს შემთხვევაში, აქაც რაც შეიძლება ნაკლები ალბათობა რჩება შემთხვევითობისთვის. რადარის ანტენები მოთავსებულია ყველგან, საიდანაც მტრისგან თავდასხმაა შესაძლებელი. დაზვერვის ოფიცრებმა შეიძლება აკონტროლონ ნაკლებად მოსალოდნელი საუბრებიც კი, თუკი არსებობს თუნდაც მცირე შანსი, რომ რაღაც რელევანტურს გამოიჭერენ. ან თუკი არსებობს შესაძლებლობა, რომ ინფორმაციის ორი დამოუკიდებელი ნაკუჭის ერთმანეთთან შეკავშირებამ მტრის განზრახვის გამოვლენისკენ გაკვალოს გზა... თუმცა, ამ ყველაფერზე მაღლა დგას ზეორგანიზებული მეთოდი ინფორმაციის ისე ინტერპრეტირებისა, რომ შევძლოთ, სავარაუდოდ რელევანტური ინფორმაცია სწრაფად გამოვკვეთოთ და ჩავუღრმავდეთ, დანარჩენი კი უკუვაგდოთ”²¹.

სწორედ ასე ხდება ის, რომ ამ პრაქტიკის მიმდევარმა შეიძლება ისეთი ახსნის სტრუქტურა მიიჩნიოს ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისკენ გზის გამკვალავ ტრიუმფად, რომელიც შეიძლება მკითხველმა ტავტოლოგიად აღიქვას და რომელიც ვერაფერს ცვლის, ვერაფერს აჩერებს და ვერაფერს აკეთებს გარდა

²¹ „აფექტი, გამოსახულება, ცნობიერება”, 1964, გვ. 433.

იმისა, რომ ზუსტად იგივე დაშვებები ამტკიცოს, რომლებიც თავდაპირველად ჰქონდა.

ჩვეულებრივ, ამ დრამაში როლები უფრო შერეულია თუ უფრო ფართოდ გავრცელებული. არ მგონია, რომ ძალიან ბევრი მკითხველი – ალბათ, იმავე მიზეზით – ავტორიც, – გაკვირვებული დარჩეს იმის აღნიშვნით, რომ „რომანი და პოლიციის“ მთავარი არგუმენტი ან „ძლიერი თეორია“ მთლიანად წრიულია: ყველაფერი შეიძლება გავიგოთ, როგორც სასჯელაღსრულებითი სისტემის ერთ-ერთი ასპექტი, ამიტომაც სასჯელაღსრულებითი სისტემა ყველგანაა. მაგრამ, ვინ კითხულობს „რომანს და პოლიციას“ იმის გასარკვევად, ჭეშმარიტია თუ არა მისი მთავარი არგუმენტი? ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ხშირად „სქესობრივი განსხვავების“ ტავტოლოგიების შემთხვევაშიც, ზუსტად ის გავრცელების ფართო არეალი, რაც თეორიას ძლიერ თეორიად აქცევს, ასევე იძლევა სივრცეს ტონალური ნიუანსების, დამოკიდებულების, ამქვეყნიური დაკვირვებების, პერფორმაციული პარადოქსის, აგრესიის, სინაზის, გამჭრიახობის, შემოქმედებითი კითხვის, გვერდითი რემარკებისა და სამწერლო მანერის სიმდიდრის გამოსავლენად, და ამას მიღერი საკმაოდ წარმატებით იყენებს თავის წიგნში. ეს ჯილდოები იმდენად ლოკალური და ხშირია, რომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნის ცენტრალური ძლიერი თეორიის გაზვიადებულად მხარდაჭერისთვის მეტ-ნაკლებად ურთიერთდაკავშირებული სუსტი თეორიების სიმრავლეა მოხმობილი. მრავალი თვალსაზრისით, ასეთი მოწყობა მისასალმებელია – ის შთამაგონებელი, სიამოვნების აღმძვრელი და მეტად პროდუქტიულია; იმის დაჟინებით მტკიცება, რომ ყველაფერს საბოლოოდ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, რადაცნაირად იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ უფრო მკაფიოდ აღვიქვათ ის განსხვავებული გზები, რომლითაც ეს მნიშვნელობა იქმნება. მაგრამ ძლიერ და სუსტ თეორიებს შორის ამ არარტიკულირებული კავშირების ნაკლოვანებების დასანახად, სტუდენტებისა და კრიტიკოსების მიერ წიგნის ავბედითი ძლიერი თეორიის უამრავი მეორადი პერიფრაზის წაკითხვა სულაც არ არის საჭირო. როგორც ძლიერი თეორია და როგორც რეფლექსური მიმეტიზმის ლოკუსი, პარანოია სხვა არაფერია, თუ არა დასწავლადი მოვლენა. ძლიერი თეორიის ცვალებადობისა და რედუქციულობის უზარმაზარი ძალა

ტავტოლოგიური აზროვნების იდენტიფიცირებას ართულებს, მაშინ როცა ეს ძალა მას დამარწმუნებლად და თითქმის გარდაუვლად გადააქცევს; შედეგი კი ის არის, რომ როგორც მწერლებმა, ისე მკითხველებმა შეიძლება სამწუხაროდ ვერც კი ამოიცნონ, თუ სად და რამდენად სრულდება რეალური კონცეპტუალური სამუშაო, და რა არის მისი ზუსტი შინაარსი.

პარანოია ნეგატიური აფექტების თეორია

მიუხედავად იმისა, რომ ტომკინსი მთელ რიგ თვისებრივად განსხვავებულ აფექტებს გამოყოფს, გარკვეული მიზნებისთვის იგი ასევე ერთმანეთთან არამკაცრად აჯგუფებს აფექტებს, როგორც პოზიტიურსა და ნეგატიურს. ამ თვალსაზრისით, პარანოია ხასიათდება არა მხოლოდ როგორც ძლიერი თეორია სუსტ თეორიასთან მიმართებით, არამედ როგორც ნეგატიური აფექტის ძლიერი თეორია. ეს რომ მნიშვნელოვანია, აფექტის საბოლოო მიზნების გათვალისწინებით დასტურდება. ტომკინსი პირველ რიგში განასხვავებს ნეგატიური აფექტის მინიმისაციისკენ სწრაფვის ზოგად მიზანს პოზიტიური აფექტის მაქსიმისაციისკენ სწრაფვის მიზნისგან და, მისი აზრით, ეს ერთმანეთთან პოტენციურად კონფლიქტში მყოფი მიზნები ყველა ინდივიდში არსებობს. (სხვა, შესაბამისად, უფრო დახვეწილი მიზნები, რომელსაც იგი ასახელებს, არის: აფექტის დათრგუნვის მინიმუმამდე დაყვანა; და წინა სამი მიზნის მისაღწევად საჭირო ძალის მაქსიმალურად გაზრდა.) პრაქტიკათა უმრავლესობაში – ადამიანთა უმეტესობის ცხოვრებაში – არსებობს მცირე და უჩინარი (თუმცა ერთად აღებულად – ძლიერი) მოლაპარაკებები ამ მიზნებს შორის, მაგრამ, ტომკინსის აზრით, ნეტაგიური აფექტის მოლოდინის მონოპოლისტური სტრატეგიის სწრაფად მზარდ, თვითდამადასტურებელ ძალას შეუძლია ისეთი ეფექტი ჰქონდეს, რომელიც სრულიად დაბლოკავს პოზიტიური აფექტის პოვნის პოტენციურად მოქმედ მიზანს. „ერთადერთი გზა, რომლითაც [პარანოიდული ადამიანი] შეიძლება საერთოდ ისწრაფვოდეს დადებითი აფექტისკენ, არის იმ ფარის შექმნა, რომელიც მას დამცირების არიდებას ჰპირდება“, – წერს იგი. „ამ დროს სრულიად გამორიცხულია პოზიტიური აფექტის მაქსიმისაციისკენ მიმართული სტრატეგიის სერიოზულად აღქმა,

გარდა უბრალოდ სიამოვნების მიღებისა, როცა საამისო შესაძლებლობა წარმოიშობა”²².

ანალოგიურად, კლაინის 1940-იანი და 1950-იანი წლების ნაწერებში, როგორც ბავშვისთვის, ისე ზრდასრულისთვის ნამდვილ მიღწევას – და ზოგჯერ სარისკო ცვლილებას – წარმოადგენს *სიამოვნების მოპოვებისკენ* სტაბილური სწრაფვა (დეპრესიული მდგომარეობის რეპარაციული სტრატეგიების საშუალებით), პარანოიდულ/შიზოიდური მდგომარეობის მიერ ტკივილის ასარიდებლად შემოთავაზებული თვითდამაზიანებელი სტრატეგიების სტაბილურად მიყოლასთან შედარებით. კლაინისეულ დეპრესიულ მდგომარეობაზე მსჯელობისას, ხშირად ხაზი ესმება იმას, რომ ეს მდგომარეობა დასაბამს უდებს ეთიკურ შესაძლებლობას – დანაშაულის განცდითა და ემპათიით შეხედოს სხვას, როგორც ერთდროულად კარგს, დაზიანებულს, მთლიანს, სიყვარულსა და ზრუნვას დანატრებულსა და მათ გამომწვევს. ამასთან, ასეთი ეთიკური შესაძლებლობა ეფუძნება და თანაარსებობს სუბიექტის სწრაფვასთან ერთად იმის მიმართ, რასაც ფუკო „საკუთარ თავზე ზრუნვას“ უწოდებს და რაც საკუთარი თავისთვის სიამოვნებისა და საზრდოს მიწოდების ხშირად ძალიან მყიფე მცდელობაა ისეთ გარემოში, რომელიც, ჩვენი აღქმით, ამას არ გვთავაზობს.

კლაინისა და ტომკინსის კონცეპტუალური ნაბიჯები აქ უფრო დახვეწილია და, მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, ნაკლებად ტენდენციურად გამოიყურება, ვიდრე ფროიდის შესაბამისი ვარაუდები. დასაწყისისთვის, ფროიდი სიამოვნების ძიებას და ტკივილის თავიდან აცილებას ერთად ათავსებს საეჭვო პირველყოფილი „სიამოვნების პრინციპის“ სათაურის ქვეშ, თითქოს ეს ორი მოტივი თავისთავად არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან”²³. მეორე, ფროიდთან მხოლოდ ტკივილის თავიდან

²² „აფექტი, გამოსახულება, ცნობიერება”, 1964, გვ. 458-459.

²³ ლაპლანში და პონტალისი თავიანთ ჩანაწერში „სიამოვნების პრინციპი” აჩვენებენ, რომ ფროიდმა დიდი ხანია იცოდა ამ პრობლემის შესახებ. ისინი პერიფრაზირებენ: „მამასადამე, უნდა ვიყოთ თუ არა კმაყოფილი წმინდა ეკონომიკური განმარტებით და მივიღოთ, რომ სიამოვნება და უსიამოვნება სხვა არაფერია, თუ არა რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ტერმინებში თარგმნა? და რა არის ზუსტი კორელაცია ამ ორ ასპექტს,

არიდების სტრატეგია [გან]ივრცობა (შფოთვის მსგავსად) „რეალობის პრინციპად“, რომელიც განვითარების მიღწევაა. ეს სიამოვნებისკენ სწრაფვას თითქოსდა „ბუნებრივი“ მოტივის ყოველთვის სავარაუდო, გამოუკვლევ, დაუშრეტელ მიწისქვეშა წყაროდ წარმოაჩენს, და ერთადერთ კითხვად მხოლოდ ის რჩება, თუ როგორ შევძლოთ მისი დაუმორჩილებელი ამოფრქვევების გაკონტროლება. ალბათ უფრო პრობლემური ის არის, რომ ეს ფროიდისეული სქემა მშფოთვარე პარანოიდულ იმპერატივს – ტკივილისა და სიურპრიზის წინასწარ არიდების შეუძლებელ, მაგრამ თითქოსდა აუცილებელ მცდელობას – „რეალობად“ წარმოაჩენს. თითქოს ის ერთადერთი და გარდაუვალი მოდალობაა, თითქოს ის მოტივაციაცაა, შინაარსიც და ჭეშმარიტი ცოდნაც.

შესაბამისად, ფროიდთან აღარ რჩება ადგილი პრუსტისეული ეპისტოლოგიისთვის, სადაც *A la recherche*²⁴-ის მთხრობელი ბოლო ტომში გრძნობს, რომ მასში „ერთმანეთს აწყდებიან ჭეშმარიტებები ადამიანის ვნებების, ხასიათისა და ქცევის შესახებ“. მთხრობელი ამ გრძნობებს ჭეშმარიტებად იმიტომ აღიქვამდა, რომ „*[მათმა] აღქმამ სიამოვნება მოჰგვარა*“²⁵. ფროიდისეულ პარანოიდულ ეპისტემოლოგიაში, იმდენად ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჭეშმარიტებამ შეიძლება შემთხვევით მაინც მოგვანიჭოს სიხარული, რომ სიხარულის განცდის ჭეშმარიტების გარანტად წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია. მართლაც, ნებისმიერი თვალსაზრისით, ჩაკეტილ წრეზე სიარულს ან რაღაც ამდაგვარს ჰგავს იმის წარმოდგენა, რომ რაღაცის ცოდნით მოგვრილი სიამოვნება შეიძლება ცოდნის ჭეშმარიტების მტკიცებულებად აღვიქვათ. მაგრამ პოზიტიური აფექტის ძლიერი თეორია, რომელსაც პრუსტის მთხრობელი მიეღობის „დაბრუნებულ დროში“, არ არის უფრო ტავტოლოგიური, ვიდრე ნეგატიური აფექტის ძლიერი თეორიაა, რომელსაც, მაგალითად, მისი პარანოია წარმოადგენს „ტყვეში“.

თვისებრივსა და რაოდენობრივს შორის? ნელ-ნელა, ფროიდმა დიდი ყურადღება გაამახვილა იმ დიდ სირთულეზე, რომელსაც ამ კითხვაზე მარტივი პასუხის გაცემისას შეეჯახა” (323). მე-3 თავში, მე და ადამ ფრანკი აღვწერთ ტომკინსის ნაშრომს აფექტის შესახებ, პრობლემის ამ გზით წამოყენებაზე პასუხის გაცემის მცდელობის ნიშნად.

²⁴ „დაკარგული დროის ძიებაში“.

²⁵ მარსელ პრუსტი, „დაკარგული დროის ძიებაში“, 1993, გვ. 303. აქცენტი დამატებულია.

(მართლაც, იმდენად, რამდენადაც პოზიტიური აფექტისკენ სწრაფვა ბევრად ნაკლებად გვიბიძგებს ძალიან ძლიერი თეორიის ჩამოყალიბებისკენ, ის შეიძლება ნაკლებად ტავტოლოგიურიც იყოს). ორივე თეორიას საკუთარი მთავარი მოტივის განხორციელების უფლებაც რომ მივცეთ, რაც ერთ შემთხვევაში მოსალოდნელი ტკივილის წინასწარ განჭვრეტაა და მეორეში – სიამოვნების მიღება, ვერც ერთს ვერ ვუწოდებთ მეორეზე უფრო რეალისტურს. ისიც კი არ არის აუცილებლად მართალი, რომ ეს ორი „რეალობას“ სხვადასხვაგვარად აღიქვამს: მცდარია დამშვება, რომ ერთი პესიმიზტურია და ჭიქას ნახევრად ცარიელს ხედავს მაშინ, როდესაც მეორე ოპტიმიზტია და ნახევრად სავსედ ხედავს მას. მოსალოდნელია, რომ დანაკარგით, ტკივილითა და ჩაგვრით სავსე ამ სამყაროში, ორივე ეპისტემოლოგია ღრმა პესიმიზმს ეფუძნებოდეს: ბოლოს და ბოლოს, კლაინის მიხედვით, სიამოვნების მიღების რეპარაციული მოტივი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც დეპრესიულ მდგომარეობას დავიკავებთ. მაგრამ რას ეძებს თითოეული მათგანი – რაც, კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, თითოეული მათგანის მოტივაციაა ძებნისთვის – ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუმცა, ამ ორიდან მხოლოდ პარანოიდულ ცოდნას აქვს საკუთარი აფექტური მოტივის შენიღბვის საფუძვლიანი პრაქტიკა, და ძალა, რომ საკუთარი თავი ჭეშმარიტების მაგალითად წარმოაჩინოს.

პარანოიას გამოაშკარავების სწავლა

სულერთია, როგორ აღწერს ის თავის მოტივაციას, პრაქტიკაში პარანოია ხასიათდება იმით, რომ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ცოდნის, როგორც ასეთის, ეფექტურობაზე, ცოდნისა, რომელსაც გამოაშკარავების ფორმა აქვს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არის პარანოიდული ცოდნა ასე გარდაუვლად ნარატიული. როგორც დეინსტიტუციონალიზებული პიროვნება ქუჩაში, რომელსაც ქალაქში ყველამ ზურგი აქცია და უმტრო, ცხვირწინ გიფრიალებთ მისთვის ძვირფასი ჩანაწერებით სავსე გაცვეთილ საქაღალდეს, პარანოია ყველა თავისი ძვირფასი ეჭვის გამო ისე მოქმედებს, თითქოს მისი მისია შესრულებული იქნებოდა, ამჯერად მაინც თუ შეძლებდა და თავის ამბავს როგორღაც საბოლოოდ ხილულს გახდიდა. ის, რომ მსმენელი მაინც შეიძლება გულგრილი ან

მტრულად განწყობილი დარჩეს, ან რომ შეიძლება მას ვერავითარი დახმარება ვერ შესთავაზოს, შესაძლებლობად თითქმის არ განიხილება.

უცნაურია, რომ ეჭვის ჰერმენევტიკა გამოაშკარავების ეფექტებისადმი ასეთი მიმდობი ჩანს, მაგრამ ნიცშე (მორალის გენეალოგიის მეშვეობით), მარქსი (იდეოლოგიის თეორიის მეშვეობით) და ფროიდი (იდეალებისა და ილუზიების თეორიის მეშვეობით) უკვე წარმოადგენენ, რიკიორის ფრაზით, „დემისტიფიკაციის ერთობლივ პროცედურებს“²⁶ და, შესაბამისად, როგორც ჩანს, წარმოადგენენ, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აუხსნელ რწმენას ამგვარი ქმედების ეფექტურობის მიმართ. მაგალითად, „გენდერზე შფოთვის“ ბოლო, მეტად მნიშვნელოვან გვერდებზე, ბატლერი გვთავაზობს პროგრამულ არგუმენტს დემისტიფიკაციის, როგორც „გეებისა და ლესბოსელების პრაქტიკისათვის ნორმატიული ფოკუსის“²⁷ სასარგებლოდ, ისეთი განაცხადებით, როგორიცაა, მაგალითად, „დრაგი“²⁸ იმპლიციტურად ავლენს თავად გენდერის იმიტაციურ სტრუქტურას²⁹; „ჩვენ ვხედავთ პერფორმანსის შედეგად დენატურალიზებულ სქესსა და გენდერს“³⁰; „გენდერის პაროდია ამხელს იმას, რომ თანდაყოლილი

²⁶ პოლ რიკიორი, „ფროიდი და ფილოსოფია: ესე ინტერპრეტაციის შესახებ“, 1970, გვ. 34.

²⁷ ჯუდიტ ბატლერი, „გენდერზე შფოთვა: ფემინიზმი და იდენტობის სუბვერსია“, 1990, გვ. 124.

²⁸ დრაგი მოიაზრებს აუდიტორიის გართობის, პაროდის მიზნით საპირისპირო გენდერის ტანისამოსის, მანერებისა და ჟესტიკულაციის მორგებას. დრაგ შოუები ლგბტ კულტურისა და აქტივიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხშირად აღიქმება, როგორც გენდერული ნორმებისა და წესრიგის პაროდისა და კრიტიკის საშუალება. ბატლერის მტკიცებით, დრაგი, განსხვავებული სქესის განსახიერების პრაქტიკა, ჰეტერონორმატიული კულტურის სიყალბესა და მის პერფორმატიულობას წარმოაჩენს. უფრო ვრცელი განმარტებისათვის იხილეთ: ანა გუნია, დრაგ მეფე / დედოფალი, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ბმული: <http://dictionary.css.ge/content/drag-king-queen> [რედაქტორის შენიშვნა]

²⁹ ჯუდიტ ბატლერი, „გენდერზე შფოთვა: ფემინიზმი და იდენტობის სუბვერსია“, 1990, გვ.137.

³⁰ იქვე, გვ. 138.

იდენტობა... არის იმიტაცია”³¹; „გენდერის პერფორმანსი გაათამაშებს და გამოაშკარავებს თავად გენდერის პერფორმატიულობას”³²; „პაროდიული განმეორება ... აშიშვლებს უცვლელი იდენტობის ფანტასმაგორიულ ეფექტს”³³; „გენდერის პაროდიული განმეორება ააშკარავებს... გენდერული იდენტობის ილუზიას”³⁴; და „ბუნებრივის” ჰიპერბოლური გამოფენები... ამხელს მის ფუნდამენტურად ფანტასმაგორიულ სტატუსს”³⁵ ისევე, როგორც „მისი ფუნდამენტური არაბუნებრიობის გამოაშკარავება”³⁶).

ვიტყვოდი, რომ ამ გვერდებში პარანოიდული იმპულსები რეფლექსიურ მიმესისზე მეტად, გამოაშკარავების მნიშვნელობის რწმენაში გამოიკვეთება. „რომანი და პოლიციის” ეჭვით სავსე ავტორი ასევე ადასტურებს, ამ შემთხვევაში, მრავალი ნაკლებად საინტერესო თანამედროვე კრიტიკოსის პროტოკოლს, როდესაც გვთავაზობს, რომ თანამედროვე დისციპლინის პრობლემად დანახვისათვის მის გაზრდილ ხილვადობაზე „ფანრის” მინათებაა საჭირო³⁷. – თითქოს, რაღაცის პრობლემად წარმოჩენა, მის გადაჭრამდე მხოლოდ პატარა ნაბიჯით ან ნახტომით იყოს დაშორებული, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმულ თავისთავად ცხად ნაბიჯს წარმოადგენდეს. ამ თვალსაზრისით, თუმცა არა ყოველთვის, „რომანი და პოლიციაში” მილერის წერის მანერა ახალი ისტორიციზტის სამაგალითო ნიმუშია. რამდენადაც განსაცვიფრებელი უნდა იყოს, ახალი ისტორიციზტული სწავლება მხოლოდ ერთი, საყოველთაო ნარატივის პრესტიჟულობას ეყრდნობა: ეს არის თანამედროვე ლიბერალი სუბიექტის გენეალოგიაში დამალული ძალადობების გამოაშკარავება და პრობლემად წარმოჩენა.

იმიტომ რომ, იმ მომენტიდან, როცა ახალი ისტორიზმი ახალი იყო, საკმაო დრო გავიდა, უფრო და უფრო თვალნათელი ხდება, რომ გამოაშკარავების ასეთი პარანოიდული პროექტი უფრო

³¹ იქვე, გვ. 138.

³² იქვე, გვ. 139.

³³ იქვე, გვ. 141.

³⁴ იქვე, გვ. 146.

³⁵ იქვე, გვ. 147.

³⁶ იქვე, გვ. 149. ყველა აქცენტი დამატებულია.

³⁷ დ.ა. მილერი, „რომანი და პოლიცია”, 1988, გვ. 9.

ისტორიულად სპეციფიკურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ისე ჩანს, ან ისე უნდა იყოს წარმოჩენილი, რომ „თანამედროვე ლიბერალური სუბიექტი“, როგორც ისტორიული ნარატივის საბოლოო მიზანი, არაფერია, თუ არა ცხადი არჩევანი. სად არიან ყველა ეს სავარაუდო თანამედროვე ლიბერალური სუბიექტები? მე ყოველდღიურად ვხვდები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც გაწაფულები არიან იმ დაფარული ისტორიული ძალადობის გამოვლენაში, რომელიც საფუძვლად უდევს *სეკულარულ*, უნივერსალისტურ ლიბერალურ ჰუმანიზმს. მიუხედავად ამისა, ამ სტუდენტებმა თავიანთი ცნობიერი წლები, მათი მასწავლებლების საგანმანათლებლო წლებისგან განსხვავებით, მთლიანად ქსენოფობიურ რეიგან-ბუშ-კლინტონ-ბუშის ამერიკაში გაატარეს, სადაც „ლიბერალური“ სხვა არაფერია, თუ არა ტაბუდადებული კატეგორია, და სადაც „სეკულარულ ჰუმანიზმს“ ჩვეულებრივ მარგინალური რელიგიური სექტასავით ეპყრობიან, მაშინ როცა მოსახლეობის უმრავლესობა უამრავ უხილავ არსებასთან, ანგელოზებთან, სატანასა და ღმერთთან პირდაპირი კავშირის ქონას ამტკიცებს.

გარდა ამისა, *დაფარული ძალადობის* გამოვლენისთვის საჭირო ნებისმიერი ინტერპრეტატორული პროექტის ძალა დამოკიდებული იქნებოდა კულტურულ კონტექსტზე, ისე როგორც ფუკოს ადრინდელ ნაშრომში აქვს ნავარაუდები, რომელშიც ძალადობა მკაცრად იქნებოდა გაკიცხული და, შესაბამისად, პირველ რიგში – დამალული. რატომ უნდა შევიწუხოთ თავი მთავრობის ხრიკების გამოაშკარავებით ქვეყანაში, სადაც ნებისმიერი მომენტისთვის, ახალგაზრდა შავკანიანი კაცების 40% სასჯელაღსრულების სისტემაშია გახლართული? შეერთებულ შტატებში და საერთაშორისო დონეზე, იმ დროს, როცა უამრავი ფარული ძალადობა არსებობს, რომელიც მართლა მოითხოვს გამოაშკარავებას, ასევე არსებობს, და სულ უფრო მატულობს, ეთოსი, სადაც ძალადობის იმთავითვე მეტისმეტად ხილვადი ფორმები სამაგალითო სანახაობადაა წარმოდგენილი, და არა სკანდალად, რომლის საიდუმლოებასაც ფარდა უნდა ახედოს. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული უთანხმოება, მაგალითად, წამებისა და გაუჩინარების ფაქტები არგენტინაში, ან მასობრივი გაუპატიურების ეთნიკური წმენდის იარაღად გამოყენების შემთხვევები

ბოსნიაში, იმ მოვლენებს კი არ გამოავლენს, რომლებიც აქამდე დამალული ან ბუნებრივად შერაცხული იყო, არამედ ხილვადობის სხვადასხვა ფორმის ერთმანეთთან ჭიდილია. რაც გულისხმობს, რომ ძალადობას, რომელიც თავიდანვე სამაგალითო და სანახაობაზე ორიენტირებული იყო, და რომელიც საჯარო გაფრთხილებას ან ადამიანთა დაშინებას ისახავდა მიზნად, ებრძვიან მისი ხილვადობის მიმართულების შეცვლისა და გადამისამართების გზით (რაც მის გაფართოებასაც გულისხმობს).

ამ კრიტიკული პრაქტიკის შემდგომი პრობლემა: რა დამოკიდებულება აქვს ექვსისა და გამომავარავების ჰერმენევტიკას ისეთ სოციალურ მოვლენებთან მიმართებით, სადაც ხილვადობა თავად არის ძალადობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი? რამდენიმე სამხრეთულ შტატში, სამუშაოს შესრულებისას პატიმრების ერთმანეთთან ჯაჭვით მიბმის წესის დაბრუნება, პატიმრებისთვის მძიმე სამუშაოს დაკისრების მიზანს კი არ ემსახურება, არამედ იმას, რომ ეს სამუშაო მათ საზოგადოების დასა-ნახად შეასრულონ. სინგაპურული ტიპის სამართლის მიმართ არსებულმა ენთუზიაზმმა, რომელიც შეერთებულ შტატებში მაიკლ ფეის გამათრახების შემთხვევაზე სახალხოდ გამოხატეს, ნათლად გამოავლინა, რომ საჯაროდ შერცხვენის სტიგმა ზუსტად ის არის, რასაც ექიმები მოუთვინიერებელ ახალგაზრდებს დაუნიშნავდნენ. ისტორიული ცვლილების ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ის, რომ ადრე სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები იყვნენ ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ ამ სასჯელს თუკი საერთოდ გამოიყენებდნენ, ის საჯაროდ უნდა განხორციელებულიყო, რათა სახელმწიფოსა და მაყურებლებს შერცხვენოდათ უწინ დაფარული სამართლებრივი ძალადობის გამომავარავების გამო. დღეს კი, უკვე, არა მოწინააღმდეგეები, არამედ სასიკვდილო განაჩენის ტრიუმფალური ამბიციებით აღტყინებული გულშემატკივრები არიან ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ სიკვდილით დასჯის განხორციელების სათანადო ადგილი ტელევიზიაა. რაღა ფასი აქვს ახლა კულტურის კრიტიკოსების მიერ ჩაგვრისა და დევნის დაფარული კვალის გამომავარავების დიდი გაჭირვებით მოპოვებულ უნარს, ნებადართული გამოვლინებების მიღმა?

როგორც ჩანს, გამომავარავების მიმართ პარანოიდული ნდობა, გარდა ამისა, დამოკიდებულია ამ გასაჯაროების აქტების

აუდიტორიის უსაზღვრო გულუბრყვილობაზე. რის საფუძველზე ვასკვნით, რომ ვინმეს გააკვირვებს ან შეაშფოთებს, მოტივაციის გაჩენაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმის გაგება, რომ მოცემული სოციალური მანიფესტაცია ხელოვნური, საკუთარ თავთან წინააღმდეგობრივი, იმიტაციური, ფანტასმაგორიული ან თუნდაც ძალადობრივია? როგორც პეტერ სლოტერდაიკი აღნიშნავს, ცინიზმი ან „განათლებული ყალბი ცნობიერება“ – ყალბი ცნობიერება, რომელმაც იცის, რომ მცდარია და რომელმაც იცის, რომ „მის სიმცდარეს თვითრეფლექსია ამცირებს“ – უკვე წარმოადგენს „საყოველთაოდ გავრცელებულ გზას, რომელსაც განათლებული ხალხი მიმართავს იმისათვის, რომ არავის ეგონოს, რომ ისინიც გაბითურებულთა შორის არიან“³⁸. როგორი ტელევიზიას დანატრებული უნდა იყოს ადამიანი, რომ შოკისმომგვრელად აღიქვას ის, რომ იდეოლოგიები საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან; რომ სიმულაკრებს არ აქვთ ორიგინალები, ან რომ გენდერული რეპრეზენტაციები ხელოვნურია? ჩემი ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პოპულარული ცინიზმი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, ის მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალფეროვან, ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიებს შორის, რომლებიც ადამიანთა უმეტესობის მენტალურ ეკოლოგიას წარმოქმნიან. ზოგიერთ გამოაშკარავებას, ზოგიერთ დემისტიფიკაციას, ზოგიერთი გამოცდილების გაზიარებას მართლაც აქვს დიდი ძალა (თუმცა ხშირად მოულოდნელი სახის). თუმცა ბევრს, რომლებიც ისეთივე ჭეშმარიტი და დამაჯერებელია, არავითარი ძალა არ გააჩნია და სანამ ეს ასეა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი აქტების ეფექტურობისა და დირექტიულობის მიზეზი რაღაც სხვა არის, და არა მათი ცოდნასთან, როგორც ასეთთან, კავშირი.

1988 წლის ნაშრომში, ანუ შეერთებულ შტატებში რეიგანის პრეზიდენტობის ორი სრული პერიოდის შემდეგ, დ.ა. მილერი გვთავაზობს, ფუკოს ნაკვალევს გავყვეთ, რათა ნათელი მოვფინოთ იმ „ინტენსიურ და გამუდმებულ ღვთიური მწყემსის როლს, რომელსაც ლიბერალური საზოგადოება თავის თითოეულ წევრზე ზრუნვისას ირგებს“³⁹. თითქოს რა! მე ბევრად ნაკლებად მადარდებს თერაპევტის მიერ ჩემი პათოლოგიზაციის შესაძლებლობა, ვიდრე ჩემი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზღვევის გაუარესება – ისიც კი დიდი

³⁸ პეტერ სლოტერდაიკი, „ცინიკური მიზეზის კრიტიკა“, 1987, გვ. 5.

³⁹ დ.ა. მილერი, „რომანი და პოლიცია“, 1988, გვ. 8.

გამართლებაა, რომ საერთოდ მაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა. გადასახადების წინააღმდეგ აჯანყების დაწყების შემდგომ, შეერთებული შტატების მთავრობა – და თანდათანობით მზარდად სხვა ე.წ. ლიბერალური დემოკრატიების მთავრობები – მტკიცედ მიიჩქარიან ზრუნვაზე საკუთარი პასუხისმგებლობის ჩამოშორებისკენ ისე, რომ წარმოქმნილი სიცარიელის შევსებას სხვა არც ერთი ინსტიტუტი არ გვთავაზობს.

ამასთან, ეს განვითარება ბოლო რამ არის, რისი მოლოდინიც ვინმეს შეიძლება ჰქონოდა ახალი ისტორიციისტული პროზის წაკითხვის შემდეგ, რომელიც ისეთი სეკულარული კეთილდღეობის სახელმწიფოს სრულ გენეალოგიას წარმოადგენს, რომელმაც პიკს 1960-იან და 1970-იან წლებში მიაღწია. ამასთან ერთად, ახალი ისტორიციზმი იმის უტყუარ დასაბუთებასაც გვთავაზობს, თუ რატომ იქნება ყველაფერი უფრო და უფრო მეტად სწორედ ასე, სამარადჟამოდ. ვერავინ დაადანაშაულებს 1980-იანი წლების მწერალს იმის გამო, რომ მან ვერ იწინასწარმეტყველა რესპუბლიკელების 1994 წლის ამერიკელებთან კონტრაქტის შედეგები. მაგრამ თუ, როგორც მილერი ამბობს, „სიურპრიზი ... ზუსტად ისაა, რის გამორიცხვასაც პარანოიდი ესწრაფვის”, უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი ისტორიციზმი, როგორც პარანოიის ფორმა, შთამბეჭდავად ჩავლავდა. მანამ სანამ მტკიცება, რომ „ყველაფერი ცუდადაა და უარესდება” იმუნურია უარყოფის მიმართ, რაიმე უფრო სპეციფიკური პროგნოზის გაკეთების ღირებულება – და, შედეგად, სავარაუდოდ, საპირისპირო სტრატეგიის შედგენის რაიმე ღირებულება – ნულს უტოლდება. უფრო მეტიც, ცვლილებების მოლოდინის ასეთი მუდმივმზარდი უუნარობა, როგორც მე განვიხილე, მთლიანად პარანოიდული პროცესის ბუნებაა, რომლის გავლენის სფეროც (ისევე, როგორც თვით ახალი ისტორიციზმის) ამით მხოლოდ ფართოვდება, რამდენადაც თითოეული მოულოდნელი კატასტროფა უფრო დასაბუთებულად წარმოაჩენს... აბა, გამოიცანით რას? წარმოაჩენს იმას, რომ თქვენ ვერასდროს იქნებით საკმარისად პარანოიდული.

დღევანდელი გადმოსახედიდან, რიჩარდ ჰოფშტადტერის 1963 წელს გამოქვეყნებული, ძალზე მნიშვნელოვანი სტატია „პარანოიდული სტილი ამერიკულ პოლიტიკაში” კარგად აჩვენებს ძლიერი დისკურსული ცვლილების მასშტაბებს. ჰოფშტადტერის ესე

წარმოადგენს თავმომწონე, ნამალადევი ლიბერალური კონსენსუსის უმთავრეს გამოხატულებას, რაც პრაქტიკულად ითხოვს იმ ტიპის პარანოიდულ დემისტიფიკაციას, რომელშიც, მაგალითად, დ.ა. მილერი ანათლებს თავის მკითხველს. მისი სტილი მექანიკურად მიუყვებოდა. ჰოფშტადტერი პარანოიას პოულობს როგორც მემარჯვენეებთან, ისე მემარცხენეებთან: აბოლიციონისტებთანაც, ანტიმასონებთანაც, ანტიკათოლიკეებსა და ანტიმორმონებთან, ნატივისტებთან, პოპულისტებთან და სხვებთან, რომლებსაც სჯერათ ბანკირების ან საბრძოლო იარაღების შემქმნელთა შეთქმულებების; ყველასთან, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ჯონ ფიცჯერალდ კენედი მარტოხელა შეიარაღებულმა პირმა მოკლა, „პოპულარულ მემარცხენე პრესაში, თანამედროვე ამერიკულ მემარჯვენეებში, და დღევანდელი რასობრივი დაპირისპირების ორივე მხარეს“⁴⁰. მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორიები ბევრ ხალხს ფარავს, მაინც არსებობს წარმოსახვითი „ჩვენ“ – რომელიც, როგორც ჩანს, ისევ პრაქტიკულად ყველას მოიცავს – ვისაც ასეთი უკიდურესობების დანახვა გაწონასწორებული, გამგები და ყოვლისმომცველი შუა ადგილიდან შეუძლია. „ჩვენ“ ყველას შეგვიძლია შევთანხმდეთ, მაგალითად, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ცივი ომის ირგვლივ მიღებული უამრავი გადაწყვეტილება შეიძლება გაკრიტიკდეს“, ისინი „უბრალოდ კეთილი განზრახვის მქონე კაცების შეცდომებია“⁴¹. ჰოფშტადტერი უპრობლემოდ აღიარებს, რომ პარანოიდულ ადამიანებს ან სოციალურ მოძრაობებს სინამდვილის აღქმის უნარი აქვთ, თუმცა „აღქმის გამრუდებულმა სტილმა... შესაძლოა მათ მიერ არასწორი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა დაგვანახოს. ისევე, როგორც ხელოვნებაში მახინჯი სტილი მიანიშნებს გემოვნების ფუნდამენტურ დეფექტებს“⁴²:

„რამდენიმე მარტივმა და შედარებით არასაკამათო მაგალითმა შეიძლება ნათლად გამოკვეთოს [განსხვავება შინაარსსა და სტილს შორის]. პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან მალევე, ფართო საჯაროობა ხვდა წილად... ფოსტით ცეცხლსასროლი იარაღის

⁴⁰ რიჩარდ ჰოფშტადტერი, „პარანოიდული სტილი ამერიკულ პოლიტიკაში და სხვა ესეები“, 1965, გვ. 9.

⁴¹ რიჩარდ ჰოფშტადტერი, „პარანოიდული სტილი ამერიკულ პოლიტიკაში და სხვა ესეები“, 1965, გვ. 36.

⁴² იქვე, გვ. 6.

გაყიდვაზე ფედერალური კონტროლის გამკაცრების შესახებ კანონპროექტს. როდესაც შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით მოსმენები მიმდინარეობდა, სამმა მამაკაცმა არიზონიდან, ბალდადიდან ვაშინგტონში ჩასასვლელად 2,500 მილი გაიარა, რომ მის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. მართლაც არსებობს არგუმენტები Dodd-ის კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც არა-დამაჯერებელიც უნდა მოგეჩვენოთ, ტრადიციული პოლიტიკური მსჯელობის ელფერი დაჰკრავს. მაგრამ ერთ-ერთი არიზონელი მას დაუპირისპირდა იმით, რაც შეიძლება პარანოიდული არგუმენტების ნიმუშად იქნეს მიჩნეული, ამტკიცებდა რა, რომ ეს იყო „დივერსიული ძალაუფლების შემდგომი მცდელობა, რომ ერთი მსოფლიო სოციალისტური ხელისუფლების ნაწილი გავმხდარიყავით“ და რომ ის გვიჩაქადდა „ქაოსის შექმნას“, რაც ხელს შეუწყობდა ძალაუფლების ჩაგდებას „ჩვენი მტრების“ ხელში“⁴³.

არ უარვყოფ, რომ ადამიანს შეიძლება ნოსტალგია შემოაწვეს იმ დროის მიმართ, როდესაც იარაღის ფლობის ლობისტების პარანოიდული რიტორიკა უბრალოდ სიგიჟედ ჟღერდა. და როცა ის „დამახინჯებული განსჯის“ „მარტივ და შედარებით არასაკამათო“ მაგალითს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე დომინანტი პოლიტიკური პარტიის თითქმის ხელშეუხებელ პლატფორმას. ჰოფშტადტერის მაგალითის შთამბეჭდავი დათარიღება არ არის მხოლოდ იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად მარჯვნივ გადაიხარა ამერიკული პოლიტიკური ცენტრი, 1963 წლიდან. ეს ასევე იმის ნიშანია, თუ როგორი ნორმატიული გახდა ამგვარი პარანოიდული აზროვნება პოლიტიკური სპექტრის თითოეული წერტილისთვის. სასაცილოა, რომ დღეს მე უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობ იმ პარანოიდ არიზონელთან, ვიდრე ჰოფშტადტერთან – მიუხედავად იმისა, ან შეიძლება იმიტომაც, რომ, ჩემი წარმოდგენით, ის არიზონელი ჰომოფობი, თეთრკანიანთა უპირატესობის დაცველი და ქრისტიანული იდენტობის მილიციის წევრია და დანახვისთანავე გამიხვრეტდა შუბლს. პეტერ სლოტერდაიკი მკაფიოდ არ განმარტავს, რომ ეს ბრძნული საზოგადო ცინიზმი ან „განმანათლებლური ყალბი ცნობიერება“, რომელიც, მისი აზრით, ახლა ყველგან სუფევს, სპეციფიკურად პარანოიდულია თავისი სტრუქტურით. თუმცა ამ დასკვნის გაკეთება გარდაუვალი ჩანს.

⁴³ იქვე, გვ. 5.

სავარაუდოდ, ასეთი ვიწრო, ყოველდღიური, საკმაოდ არათანმიმდევრული ცინიზმი არის ის, რასაც პარანოია წააგავს, როდესაც ის სუსტი თეორიასავით იქცევა და არა ძლიერი თეორიასავით. ახლა ამ ჰიპერდემისტიფიცირებულ, პარანოიდულ სცენასთან ეჭვის ჰერმენევტიკის „სიახლეებით“ მუდმივად და ნებისმიერ ფასად დაბრუნება, ბევრად განსხვავებული მოქმედებაა, ვიდრე ამგვარი გამოაშკარავება 1960-იან წლებში იქნებოდა.

სუბვერსიური და დემისტიფიკაციური პაროდია, აწმყო მოვლენებში ეჭვის შემტანი არქეოლოგიები, ძალადობის ფარული პატერნების აღმოჩენა და მათი გამოაშკარავება, როგორც მე ვამტკიცებდი, ფარდის ახდის ეს უსასრულოდ შესრულებადი და დასწავლადი პროტოკოლები, კულტუროლოგიური და ისტორიციისტული კვლევების საერთო ღირებულება გახდა. თუ პარანოიდული ჰერმენევტიკის ტრიუმფში აშკარა საფრთხე არსებობს, ეს არის ის, რომ თუ ასეთი ფართო მეთოდოლოგიური ერთობა და ასეთი თითქმის პროფესიული შეთანხმება დიდხანს და ეჭვის შეტანის გარეშე გაგრძელდა იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს თხრობა, ახსნა ან ადეკვატური ისტორიული ანალიზი, მან შეიძლება ლიტერატურულ-კრიტიკული მიდგომებისა და უნარების გენოფონდი უნებლიეთ გააღარიბოს. შეზღუდული გენოფონდის უბედურება, რა თქმა უნდა, მის მიერ გარემოს (მაგალითად, პოლიტიკურ) ცვლილებებზე რეაგირების მოხდენის შეზღუდულ უნარში მდგომარეობს.

თუმცა, ახლანდელ პარანოიდულ კონსენსუსს უფრო ზუსტად აღვწერდით, თუ ვიტყვით, რომ მთლიანად ჩანაცვლებაზე მეტად, მას შეიძლება შემეცნების სხვა გზების გარკვეულწილად მოკვეთა/ამპუტაცია, უარყოფა და მცდარად აღქმა მოეთხოვა; გზებისა, რომლებიც ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ეჭვის გარშემო, და გზებისა, რომლებსაც, რეალურად, ხშირად ერთი და იგივე თეორეტიკოსები, ხშირად ერთსა და იმავე პროექტებში კვლავაც იყენებენ. პარანოიდული შეცნობის მონოპოლია, სისტემატურად აბრკოლებს რეპარაციული მოტივებისკენ გადახრის ნებისმიერ გაცხადებულ მცდელობას, რომელიც წარმოთქმისთანავე, მეთოდოლოგიური გაცხრილვის საგანი ხდება. როგორც კი რეპარაციული მოტივები გაცხადდება, პარანოიდული თეორია მათ უარყოფს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი სიამოვნების მიღებას

უკავშირდებიან („მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიკური“) და მეორე, იმიტომ, რომ გაუმჯობესებისკენ ილტვიან („მხოლოდ და მხოლოდ რეფორმისტული“)⁴⁴. რატომ შეიძლება ვუწოდოთ სიამოვნებასა და გაუმჯობესებას „მხოლოდ და მხოლოდ“? იმიტომ, რომ პარანოიას მარტო გამოაშკარავებისა და დემისტიფიკაციის სწამს: მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეფუძნება სასტიკ და უგულო დაშვებას, რომ გლობალურ რევოლუციას, გენდერული როლების აფეთქებას თუ ნებისმიერ სხვა რამეს, ერთადერთი ის აკლია, რომ ხალხმა (ანუ სხვა ხალხმა) საკუთარი ჩაგვრის, სიღარიბის ან მოტყუებულობის შედეგები იმდენად მძაფრად იგრძნოს, რომ ტკივილი ცნობიერი გახდეს (თითქოს, ისედაც არ იციან) და სიტუაცია გაუსაძლისი (თითქოს, გაუსაძლისი სიტუაციები ცნობილია ბრწყინვალე გამოსავლის პოვნის შესაძლებლობებით).

პარანოიდული თეორიების უმეტესობა ასეთ მახინჯ რეცეპტებს სერიოზულად არ გვთავაზობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი თანამედროვე თეორია თითქოს ხშირად მათ მიერ არის სტრუქტურირებული. შინაგანი წინააღმდეგობის ეს ფორმა, რომელიც „რომანი და პოლიციის“ მაგალითზე უკვე განვიხილეთ და სადაც მკითხველი ძლიერი პარანოიდული თეორიის მკაცრად მონოლითურ სტრუქტურას იმიტომ ემორჩილება, რომ მას საკმაოდ მრავალფეროვანი, ხშირად, მკვეთრად სიამოვნებაზე ორიენტირებული, მცირემასშტაბიანი მწერლური და ინტელექტუალური მანევრები მოჰყვება, მრავალ სხვა კრიტიკის კარგ მაგალითშიც გვხვდება. რა თქმა უნდა, ვაღიარებ, რომ ეს თვისება ჩემი საკუთარი ნაწერების დიდ ნაწილსაც ახასიათებს. აქვს რაიმე მნიშვნელობა იმას, ასეთი პროექტები არასწორად აღწერენ საკუთარ თავს თუ არასწორად არიან გაგებული მკითხველების მიერ? მე არ ვიტყოდი, რომ ნებისმიერ ძლიერ ტექსტს საკუთარი ძალის გამჭვირვალედ აღწერა შეუძლია, ან რომ წერის მტკიცებით ფორმას საკუთარი თავის ადეკვატურად შეფასების უნარი აქვს. მაგრამ, სერიოზულად რომ

⁴⁴ იშვიათად შეუმჩნეველი ჩაცინება, რომლითაც ლეო ბერსანი წიგნში „გამოსყიდვის კულტურა“ იყენებს ტერმინ „გამოსყიდვას“, შეიძლება იყოს ერთი კარგი მაგალითი მისი ბოლოდროინდელი გამოყენებისა – გარდა ამისა, ბერსანის ზიზღი, როგორც ჩანს, მიემართება არა იმ აზრს, რომ რაღაცები შეიძლება გაუმჯობესდეს, არამედ უფრო – რწმენას, რომ ხელოვნება ამგვარი ცვლილებისთვის დანიშნული აგენტია.

ადვიქვით ტომკინისეული და ასევე სხვებთან ხელმისაწვდომი მოსაზრება, რომ ყოველდღიური თეორია თვისებრივად ზემოქმედებს ყოველდღიურ ცოდნასა და გამოცდილებაზე; წარმოვიდგინოთ, რომ არ არის საჭირო აკადემიურ და ყოველდღიურ თეორიებს შორის ონტოლოგიური განსხვავების დადგენა; და წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკების ხარისხზე განსაკუთრებით ვზრუნავთ; ამ შემთხვევებში – არჩევანის შესაძლებლობა რომ გვქონოდა – აზრს შეიძენდა, უარი გვეთქვა სისტემური, თავისთავადი გაყოფის აუცილებლობის კულტივირებაზე რაღაცის კეთებასა და ამ კეთებისთვის არსებულ მიზნებს შორის.

მაშინ, როცა პარანოიდული თეორიული ნაშრომები თან აძლიერებენ მონოპოლისტური „ძლიერი თეორიის“ სტრუქტურულ დომინირებას და თან დამოკიდებულნი არიან მასზე, შეიძლება ასევე სასარგებლო აღმოჩნდეს იმ მრავალფეროვანი, დინამიკური და ისტორიულად განპირობებული გზების გამოკვლევა, რომლითაც ცოდნის ეკოლოგიაში ძლიერი თეორიული კონსტრუქტები სუსტ კონსტრუქტებთან ურთიერთქმედებენ – გამოკვლევა, რომელიც აშკარად ვერ წარიმართება როგორც სუსტი, ისე ძლიერი თეორიული აქტების მიმართ შესაბამისი ინტერესის გარეშე. ტომკინსი ამგვარი პროექტისადმი მიდგომის იმაზე ბევრად უფრო მეტ მოდელს გვთავაზობს, ვიდრე მე შევძელი შემეჯამებინა. მაგრამ ლიტერატურული კრიტიკის ისტორია ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ალტერნატიული მოდელების რეპერტუარი, რომელიც ძლიერი და სუსტი თეორიების ერთმანეთში გადახლართვის საშუალებას იძლევა. რას შეუძლია უკეთესად წარმოადგინოს „სუსტი თეორია ცოტათი უფრო უკეთ, ვიდრე უბრალოდ იმ ფენომენის აღწერაა, რომლის ახსნასაც ის ისახავს მიზნად“, ვიდრე წამოსახვითი გულდასმით წაკითხვის გაუფასურებულ და თითქმის მოძველებულ „ახალ კრიტიკულ“ უნარს?⁴⁵ მაგრამ ის, რაც უკვე ჭეშმარიტი იყო ემპსონსა და ბურკთან, დღეს სხვაგვარად არის ჭეშმარიტი: არსებობს მნიშვნელოვანი ფენომენოლოგიური და თეორიული ამოცანები, რომელთა შესრულებაც მხოლოდ ლოკალური თეორიების და ერთჯერადი ტაქსონომიების მეშვეობით არის შესაძლებელი; ძლიერ თეორიებთან მათი კავშირის პოტენციურად უთვალავი მექანიზმის

⁴⁵ მაგლობა ტაილერ კურტანს, რომ ამისკენ მიმითითა.

დადგენა, შემოქმედებისა და სპეკულაციური აზროვნების საკითხებად რჩება.

პარანოია, როგორც აღვნიშნე, წარმოადგენს არა მხოლოდ აფექტის ძლიერ თეორიას, არამედ ნეგატიური აფექტის ძლიერ თეორიას. მოცემული თეორიის სიძლიერის (ან ძლიერ და სუსტ თეორიას შორის ურთიერთობის) საკითხი შეიძლება პერპენდიკულარულად კვეთდეს მისი აფექტური თვისებრიობის საკითხს, და თითოეულს შეიძლება შესწევდეს სხვადასხვა საშუალებით გამოკვლევის უნარი. ძლიერი თეორია (ე.ი. ფართომასშტაბიანი და რედუქციული თეორია), რომელიც უმეტესწილად დამცირების ნეგატიური აფექტის წინასწარ განჭვრეტის, იდენტიფიცირებისა და არიდების გარშემო არ არის ორგანიზებული, რამდენიმე ასპექტში მოგვაგონებს პარანოიას, მაგრამ განსხვავდება მისგან სხვა ასპექტებში. მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება ამ/მიმდინარე თავის წინამდებარე ნაწილის სამართლიანი დახასიათება იყოს. ვინაიდან, პარანოიის ნეგატიური აფექტის თეორიად განსაზღვრის შემთხვევაშიც კი, ღიად რჩება ნეგატიურ აფექტებს შორის განსხვავებების საკითხი, რაც იმ სიტყვათა მარაგით ექსპერიმენტირების საშუალებას გვაძლევს, რომლითაც აფექტის ფართო დიაპაზონს აღვწერდით. კიდევ ერთხელ, ეს არამარტო უარყოფით აფექტებთან ხდება; ასევე იძულებითი და თვითგანმამტკიცებელი იქნებოდა პოზიტიური აფექტის მხოლოდ ერთი, ტოტალისტური თეორიის მუდმივად ერთ პოზიციაზე ყოფნაც. შემამოფოთებლად ბევრი თეორია ავრცელებს მხოლოდ ერთ ან შეიძლება ორ აფექტს, იქნება ეს ექსტაზი, დიდებულება, თვითგანადგურება, ჟუსანსი⁴⁶, ეჭვი, აბჟექცია⁴⁷, გამჭრიახობა, შიში,

⁴⁶ ფრანგული სიტყვიდან *jouissance* – ითარგმნება როგორც სიამოვნება, ორგაზმი. ჟუსანსი ფილოსოფოს ჟაკ ლაკანისთვის მნიშვნელოვანი ცნებაა. მისთვის ჟუსანსი ფსიქოანალიტიკური „სიამოვნების პრინციპისგან განსხვავდება“. ჟუსანსი სიამოვნებისა და ტკივილის ერთიანობაა, გადაჭარბებული სიამოვნებით მიღებული ტკივილი [რედაქტორის შენიშვნა].

⁴⁷ სიტყვიდან *abject* – იულია კრისტევა აბჟექციად (*abjection*) მოიაზრებს ისეთ შიშისმომგვრელ პროცესს, როდესაც „მესა“ და „გარემოს“, სუბიექტსა და ობიექტს შორის განსხვავება იშლება, როდესაც ადამიანი აცნობიერებს, რომ გარემო ან „სხვა“ მისი ნაწილიცაა. აბჟექციის ყველაზე ცნობილი მაგალითი გვამის დანახვით მოგვრილი შიში და ზიზღია, რომელიც

მწუხარე კმაყოფილება თუ სამართლიანი აღშფოთება. ეს ძველ ხუმრობას ჰგავს: „რევოლუცია მოდის, ამხანაგო, ყველას შეეძლება ყოველდღე ჭამოს შემწვარი საქონლის ხორცი“. „მაგრამ, ამხანაგო, მე არ მიყვარს შემწვარი საქონლის ხორცი“. „როცა რევოლუცია მოვა, ამხანაგო, თქვენც შემწვარი საქონლის ხორცი მოგეწონებათ“. როდესაც რევოლუცია მოვა, ამხანაგო, თქვენ ძალიან გესიამოვნებათ ყველა ეს დეკონსტრუქციული ხუმრობა; გული წაგივით მოწყენილობისგან, თუ ყოველ წუთას სახელმწიფო აპარატს არ ამხვრევთ; თქვენ ნამდვილად მოგინდებათ ვნებიანი სექსი დღეში ოცჯერ ან ოცდაათჯერ. მგლოვიარეც იქნებით და მეომარიც. და არასოდეს მოგინდებათ უთხრათ დელიოზსა და გვატარის, „ამაღამ არა, ძვირფასებო, თავი მტკივა“.

პარანოიის დროებითობასთან განსაკუთრებულად ხისტი დამოკიდებულების დანახვა, რომელიც თან წინასწარ განჭვრეტაზეა ორიენტირებული და თან რეტროაქტიულია, და რომელსაც პირველ რიგში სიურპრიზი ეზიზღება, სხვა შესაძლებლობების კონტურებისთვის თვალის შევლების შანსსაც გვაძლევს. აქ, ალბათ, კლანინი უფრო დაგვეხმარება, ვიდრე ტომკინსი: რეპარაციული მდგომარეობიდან წაკითხვა ნიშნავს უარის თქმას იმ ყოვლისმცოდნე, შფოთვით პარანოიდულ დაჟინებაზე, რომ ვერანაირი საშინელება, რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს ის, ვერ დაუდგება მკითხველს ისე, როგორც *სიახლე*; რეპარაციულად განწყობილი მკითხველისთვის სიურპრიზის განცდა შეიძლება რეალისტური და აუცილებელი ჩანდეს, რადგან სიურპრიზები შეიძლება საშინელიც იყოს და კარგიც. იმედი, ხშირად მსხვრევადი, თუნდაც მატრავმირებელი, იმ ენერგიებს შორისაა, რომლებითაც რეპარაციულად განწყობილი მკითხველი ცდილობს იმ ფრაგმენტებისა და ნაწილი-ობიექტების სისტემატიზაციას, რომლებსაც იგი ეჯახება ან ქმნის⁴⁸. იმის გამო, რომ მკითხველს აქვს

საკუთარი სხეულის მატერიალურობასა და სიკვდილის გარდაუვალობას გვახსენებს [რედაქტორის შენიშვნა].

⁴⁸ აქ ვფიქრობ ტიმოთი გულდის ინტერპრეტაციაზე (პირად კომუნიკაციაში, 1994) ემილი დიკინსონის ლექსისა, რომელიც ასე იწყება: „იმედი არის ბუმბულებით მოსილი რამ – რომელიც ეფლობა სულში“ (გვ. 116, პოემა 254). გულდი ვარაუდობს, რომ მთრთოლვარე იმედის სიმპტომები უფრო ჰგავს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომებს, იმ

სივრცე, გააცნობიეროს, რომ მომავალი შეიძლება განსხვავდებოდეს აწმყოსგან, მისთვის ასევე შესაძლებელია, თავი შეიქციოს ისეთი უკიდურესად მტკივნეული, უკიდურესად შემამსუბუქებელი, ეთიკურად მნიშვნელოვანი შესაძლებლობების დაშვებით, როგორცაა ის, რომ წარსული, თავის მხრივ, შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო⁴⁹.

კერძოდ, რა მდგომარეობაში აყენებს ეს არგუმენტი ქვიარ წაკითხვის პროექტებს? იმასთან ერთად, რომ გთავაზობთ „სქესობრივი სხვაობისა“ და „სქესობრივი იგივეობის“ საკითხის მიმართ ყურადღების მოდუნებას, და პარანოიის ფროიდისეულ, ჰომოფობიაზე ორიენტირებული გაგებისგან სხვა გაგებებზე გადასვლის შესაძლებლობას – მაგალითად, კლაინის ან ტომკინსის გაგებებზე, რომლებიც განსაკუთრებით ოიდიპალური არ არიან და დრაივზე მეტად აფექტზე არიან ორიენტირებული – ასევე გთავაზობთ დაშვებას, რომ ქვიარ აზროვნების მიზმა პარანოიის საკითხთან შეიძლება იმაზე ნაკლებად აუცილებელი, ნაკლებად განმსაზღვრელი და ნაკლებად არსებითი იყოს, ვიდრე ამ თემაზე დაწერილ ადრინდელ ნაშრომებში ივარაუდებოდა, აქვე აღვნიშნავ – ჩემი საკუთარის ჩათვლით. პარანოიის უფრო ეკოლოგიური ხედვა არ გვიბიძგებდა გეებისა და ლესბოსელთა საკითხებისთვის ისეთივე არაისტორიული, თითქოსდა ავტომატური კონცეპტუალური პრიორიტეტის მინიჭებისკენ, როგორც ამას ფროიდისეული ხედვა გვთავაზობს.

მეორე მხრივ, ვფიქრობ, ჩვენ გაცილებით უკეთეს პოზიციაში ჩავგაყენებს, თუ სათანადო პატივს მივაგებთ იმ სახასიათო, კულტურისთვის ცენტრალური პრაქტიკების სიმრავლეს,

განსხვავებით, რომ შფოთვის ამკარად არარსებული მიზეზი მომავალში უფრო ძვეს, ვიდრე წარსულში.

⁴⁹ აქ არ ვცდილობ „სინამდვილეში როგორც“ მოხდა, იმის ჰიპოსტაზირებას ან უარყოფას, თუ როგორი კონსტრუირებული შეიძლება იყოს ეს „სინამდვილეში მოხდა“ – კონკრეტული შეზღუდვების ფარგლებში. თუმცა, სივრცე იმისა, რაც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა, ჩვეულებრივ, უფრო ფართო და ნაკლებად შეზღუდულია, და კონცეპტუალურად მნიშვნელოვანი ჩანს, რომ ეს ორი ერთმანეთისგან განვასხვაოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაიკარგოს რაღაცების სხვაგვარად მოხდენის მთლიანი შესაძლებლობა.

რომელთაგან ბევრს სრულიად თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ რეპარაციული, და რომლებიც ქვიარ გამოცდილებისგან წარმოიშვებიან, მაგრამ პარანოიდული მზერის ქვეშ უხილავი ან გაუგებარი ხდებიან. როგორც ჯოზეფ ლიტვაკი წერს, მაგალითად, (პირად კომუნიკაციაში, 1996 წელს):

„ჩემთვის, ქვიარ წაკითხვასა და წერაში „შეცდომების“ მნიშვნელოვნებას... ბევრი რამ აქვს საერთო შეცდომებსა და დამცირებას შორის არსებული ტრავმული, მოჩვენებითად გარდაუვალი კავშირის შესუსტებასთან. ვგულისხმობ იმას, რომ თუკი ბევრი ქვიარ ენერგია, ვთქვათ, მოზარდობის ასაკში, მიდის იმაში, რასაც ბარტი უწოდებს „levouloir-etre-intelligent“ (ანუ „თუ უბედური უნდა ვიყო, სულ მცირე, მომეცით საშუალება, ვიყო სხვებზე უფრო ჭკვიანი“), რაც პარანოიის, როგორც გონებამახვილობის განმსაზღვრელი ნიშნის პრესტიჟულობის მიზეზია, (გონებამახვილობის, რომელიც მტკივნეულია), მოგვიანებით, საკმაოდ დიდი მოცულობის ქვიარ ენერგია მიდის... პრაქტიკებში, რომელთა მიზანაც შეცდომის შიშის დაძლევაა; რომლებიც ცდილობენ, გახადონ შეცდომების დაშვება სექსუალური, შემოქმედებითი და თუნდაც კოგნიტურად ძლევამოსილი პროცესი. ნუთუ ქვიარ წაკითხვა, სხვა რამეებს შორის, არ ნიშნავს იმის სწავლას, რომ შეცდომებიც შეიძლება წარმოადგენდეს კარგ, და არა ცუდ, სიურპრიზებს?“⁵⁰

ვფიქრობ, მიზანშეწონილია დავასკვნათ, რომ ეს დაკვირვებები უფრო კონტექსტუალური მოვლენებია, ვიდრე განსაზღვრებითი ან ტრანსისტორიული: ისინი არ წარმოადგენენ იმას, რაც გარდაუვლად განუყოფელი ნაწილია ყველა ქალთმოყვარე ქალის ან კაცების მოყვარული კაცის გამოცდილებისთვის. რადგან თუ პარანოიდული კითხვის პრაქტიკა მჭიდროდ ებმის გარდაუვალობის ცნებას, როგორც მე ვაჩვენე, არსებობს კიდევ სხვა მახასიათებლები ქვიარ წაკითხვისა, რომლებსაც შეუძლიათ დახვეწილად შეეწყონ შემთხვევითობის გულისცემას. პარანოიდული დროებითობის ჯიუტი, თავდაცვითი ნარატიული სიხისტე, რომელშიც დაუშვებელია, რომ გუშინდელი დღე დღევანდელისგან განსხვავდებოდეს და ხვალინდელი დღე კიდევ უფრო მსგავსი უნდა იყოს, ფორმირდება თაობათაშორისი ნარატივიდან, რომელიც

⁵⁰ პირადი კომუნიკაცია.

ხასიათდება მკვეთრად ოიდიპალური რეგულარულობითა და განმეორებადობით: ეს შეემთხვა მამაჩემის მამას, ეს შეემთხვა მამაჩემს, ეს ხდება ჩემს თავს, ეს გადახდება ჩემს ვაჟს, და ეს შეემთხვევა ჩემი ვაჟის ვაჟს. მაგრამ, ნუთუ ის არ არის ქვიარ შესაძლებლობის მახასიათებელი – მხოლოდ პირობითი მახასიათებელი, მაგრამ ნამდვილი და ისეთი, რომელიც, თავის მხრივ, აძლიერებს თავად პირობითობის ძალას – რომ ჩვენი თაობათაშორისი ურთიერთობები ყოველთვის ასეთი თანმიმდევრობით არ მიედინება?

დაფიქრდით პრუსტის ეპიფანურ, ექსტრავაგანტულად რეპარაციულ ბოლო ტომზე, სადაც მთხრობელი, საზოგადოებისგან ხანგრძლივი განრიდების შემდეგ, წვეულებაზე მიდის. თავდაპირველად, მას ჰგონია, რომ ყველას დახვეწილი კოსტიუმი აცვია და თავს აჩვენებენ, თითქოს ბერიკაცები იყვნენ, შემდეგ კი აცნობიერებს, რომ ისინი მოხუცები არიან, და ასეა თვითონაც. რასაც მოსდევს წერისა და დროის კავშირის შესახებ მთელი რიგი კლიმაქსური სიხარულის მომგვრელი „ჭეშმარიტებების“ თავსხმა, მეხსიერების რამდენიმე მკვეთრ დარტყმაში. მთხრობელი არასდროს ამბობს ამას, მაგრამ ნუთუ არ ღირს, აღვნიშნოთ, რომ დროსთან მიმართებით ასეთი დეზორიენტაცია, რომელიც პერსონაჟს აღმოჩენათა ამ სივრცეში შემოუძღვა, შეუძლებელი იქნებოდა ჰეტეროექსტრალურ pere de famille-ში (ოჯახის მამის როლში); მისთვის, ვინც ამ დროს შვილებისა და შვილიშვილების მოვლინების, როგორც შეუქცევადი „პროგრესირებადი“ იდენტობების და როლების ცვალებადობის ჩარჩოებში ცხოვრობდა?

„და ასე დავიწყე იმის გაგება, თუ რა იყო სიბერე, – სიბერე, რომელიც ალბათ ის ერთადერთია ყველა რეალობას შორის, რისგანაც საკუთარ თავს სიცოცხლეში ყველაზე დიდხანს ვიცავთ, წმინდად აბსტრაქტული კონცეფცია, ვუყურებთ კალენდრებს, ვათარილებთ ჩვენს წერილებს, ვხედავთ, როგორ ქორწინდებიან ჩვენი მეგობრები და შემდეგ, თავის დროზე, ჩვენი მეგობრების შვილები და ძაინც, ან შიშისაგან, ან სიზარმაცისგან, ვერ ვიგებთ, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, იმ დღემდე, როდესაც უცნობ სილუეტს შევხედავთ... რომელიც გვასწავლის, რომ ჩვენ ახალ სამყაროში ვცხოვრობთ; იმ დღემდე, სანამ ერთ დროს ნაცნობი ქალის შვილიშვილი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ინსტინქტურად ისე ვექცევით, თითქოს ჩვენი

თაობის იყოს, გაიღიმებს, თითქოს ფიქრობდეს, რომ დავცინით, რადგან ასაკით ბაბუად ვეკუთვნით – და მეც დავიწყე იმის გააზრება, თუ რას ნიშნავს სიკვდილი და სიყვარული და სულიერი ცხოვრების სიამოვნებანი, ტანჯვის სარგებლობა, მოწოდება და სხვა⁵¹.

ამ შედარებით ახალმა მდგომარეობამ, რომელმაც უამრავი ქვიარ სიცოცხლის ხანგრძლივობა სასტიკად შეამოკლა, მრავალი ჩვენგანის დროის შეგრძნება ამოაგდო რუტინიდან ისე, რომ ზემოთ აღწერილი ეფექტი მხოლოდ გააძლიერა. როცა ამას ვამბობ, ჩემს სამ ნამდვილ ქვიარ მეგობარზე ვფიქრობ. ერთ-ერთი მათგანი სამოცი წლისაა; დანარჩენი ორი – ოცდაათის, მე კი, ორმოცდახუთი წლის, ზუსტად შუაში ვარ. ოთხივე ჩვენგანი საუნივერსიტეტო სივრცეში ვმსახურობთ და ინტერესებში, საქმიანობასა და ამბიციებში ბევრი რამ გვაქვს საერთო; თითოეულს ინტენსიური აქტივისტური წარსული გვაქვს. „ნორმალურ“ თაობათაშორის ნარატივში ჩვენი იდენტიფიკაცია ერთმანეთთან იმ მოლოდინის მიხედვით აიგებოდა, რომ მომდევნო თხუთმეტი წლის შემდეგ მე დაახლოებით იმ მდგომარეობაში ვიქნებოდი, რომელშიც ახლა ჩემი სამოცი წლის მეგობარია, ხოლო ჩემი ოცდაათი წლის მეგობრები დაახლოებით იქ იქნებოდნენ, სადაც ახლა მე ვარ.

მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამგვარი მეგობრობების საფუძვლები დღეს, ალბათ, ამ მოდელისგან განსხვავებული იქნება. ეს განსხვავება არსებობს ღარიბ უბნებში და მათთვის, ვინც რასისტული ძალადობის მსხვერპლია, ასევე ჯანდაცვას მოკლებული პირებისთვის, საშიშ ინდუსტრიებში მომუშავე ადამიანებისთვის და სხვა მრავალისთვის; ეს განსხვავება არსებობს ჩემი მეგობრებისა და ჩემთვის. კერძოდ, რადგან ძუძუს შორსწასული კიბო მაქვს, მცირეა იმის შანსი,

⁵¹ მხოლოდ დროში არ ხდება ის, რომ მთხრობელი თაობის პროცესს მიღმა რჩება, სადაც ის permits a slippage, რომელიც საბოლოოდ ტრანსმუტაციურ თავისუფალ ვარდნას უტოლდება. ამასთან ერთად, ასევე ვხვდებით gender slippage: ჟილბერტ დე სენტ ლუპმა მომმართა: „წავიდეთ და ერთად ვისადილოთ რესტორანში?“ და მე ვუპასუხე: „დიახ, თუკი ახალგაზრდა კაცთან ერთად სადილობას კომპრომისად არ ჩათვლი“. ვუთხარი თუ არა ეს, ყველას გაეცინა და სწრაფადვე დავამატე: „ან, მოხუც კაცთან ერთად“. მივხვდი, რომ ფრაზა, რომელმაც ყველა გააცინა, სწორედ ის ფრაზა იყო, რომელსაც დედაჩემი ჩემი მისამართით გამოიყენებდა, დედა, რომლისთვისაც მე ისევ ბავშვი ვარ. და ვიგრძენი, რომ საკუთარ თავს სწორედ მისი პერსპექტივიდან განვსჯიდი.

რომ ოდესმე მივაღწევ იმ ასაკს, რა ხნისაც ჩემი უფროსი მეგობარია. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩემი მეგობრები, რომლებიც ოც-დაათი წლისანი არიან, ოდესმე გამოცდიან ჩემს ახლანდელ საშუალო ასაკს: ერთი შორსწასული კიბოთი ცხოვრობს, რომელიც გარემოსთან დაკავშირებულმა მძიმე ტრავმამ გამოიწვია (მარტივად რომ ვთქვათ, ის ტოქსიკური ნარჩენების ნაგავსაყრელის თავზე გაიზარდა); მეორეს აივ-ი აქვს. ჩვენ შორის ყველაზე მეტად მოსალოდნელი, რომ ამ წუთიდან კიდევ თხუთმეტ წელს იცხოვრებს, იმ მეგობრისგან არის, რომელიც სამოცი წლისაა და ძალიან ჯანმრთელია.

ძნელი სათქმელია, რთულია თუნდაც ცოდნა, თუ როგორ განსხვავდება ჩვენი ურთიერთობა იმ თაობათა შორის მეგობრობებისგან, რომელთა პერსპექტივის ხაზებიც საერთო ჰორიზონტზე იკვეთება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობები უფრო ინტენსიურად არის მოტივირებული: კიდევ თუ რამე ვიცით, ის არის, რომ სისულელებისთვის დრო არ გვაქვს. მაგრამ, ასევე, ჩვენს შემთხვევაში, ერთმანეთთან იდენტიფიცირების მნიშვნელობაც ძალიან განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულ ადამიანს იმის გამო არ უყვარს ახალგაზრდა, რომ ერთ დღესაც ეს ახალგაზრდა ხანდაზმულის მდგომარეობას მიაღწევს, ან კიდევ პირიქით. არავინ არის, ასე ვთქვათ, ოჯახის გვარის გამგრძელებელი; ამ გაგებით, ჩვენი ცხოვრებისეული ნარატივები იშვიათად დაემთხვევა ერთმანეთს. არსებობს სხვა გაგებაც, რომელშიც ისინი უფრო ინტიმურად უახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე თაობათა რეგულარული გრაფიკის შესაბამისად წინმავალ სიცოცხლეებს შეუძლიათ. ჩვენთვის მთავარია ერთმანეთის ამ წუთას ყოლა, ერთმანეთის, აწმყოს სრული სისავსით დანახვა, ჩვენთვის, ვისი ცხოვრებისეული მრუდი მეტად ვეღარ გაგრძელდება, და ვისი სიღრმისეულად გაგებაც, რეალიზებაც და კომპანიონობაც უნდა ვისწავლოთ.

ტექსტურ დონეზე, მეჩვენება, რომ რეპარაციული შეცნობის ურთიერთდაკავშირებული პრაქტიკები შეიძლება გეი, ლესბოსელი და ქვიარ ინტერტექსტუალობის მრავალი ისტორიის გულში მდებარეობდეს, თუმცა ისინი იშვიათად აღიარებული და მცირედ შესწავლილია. მაგალითად, კემპის⁵² ქვიარად იდენტიფიცირებული

⁵² კემპი ლგბტ სუბკულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. კემპად მოიაზრება ლგბტ სუბკულტურაში მენისტრიმული კულტურის

პრაქტიკა შეიძლება სერიოზულად არასწორად იქნეს აღქმული, როდესაც მას პარანოიდული სათვალთ აკვირდებიან, როგორც ამას ბატლერი და სხვები აკეთებენ. როგორც ვნახეთ, კემპი ყველაზე ხშირად გაიგება როგორც პაროდის, დენატურალიზაციის, დემისტიფიკაციის და დომინანტური კულტურის ელემენტებისა და ვარაუდების დამცინავი გამოაშკარავების პროექტებისთვის უნიკალურად შესაფერისი პრაქტიკა. და იმის ხარისხი, თუ რამდენად არის კემპი სიყვარულით მოტივირებული, როგორც ჩანს, ხშირად გაიგება, როგორც იმ თვითსიძულვილის საზომი, რომელიც მჩაგვრელ სტატუს-კვოს ემორჩილება. ამ მოსაზრების თანახმად, კემპში პარანოიდული იმპულსის რენტგენული მხერვა კულტურის უხორცო ჩონჩხს გამჭოლად ხედავს; პარანოიდულ ესთეტიკას, რომელსაც ამ პროცესში ვხედავთ, მინიმალისტური ელეგანტურობა და კონცეპტუალური ეკონომია ახასიათებს.

რეპარაციული იმპულსის სურვილი, მეორე მხრივ, კრებითი და ზრდადია. ის შიშობს, რომ მისი გარემომცველი კულტურა არაადეკვატურია ანდა მის ზრდას აფერხებს და ეს შიში რეალისტურია; მას სურს, მოუგროვოს და აჩუქოს ბარაქა ობიექტს, რომელიც მომავალში მისი არასრული თავისთვის გამოდგება რესურსად. დაინახო კემპი სხვა მოვლენებთან ერთად, როგორც მრავალფეროვანი რეპარაციული პრაქტიკების კოლექტიური, ისტორიულად კომპაქტური ძიება, არის – სამართალი მიაგო კლასიკური კემპის პერფორმანსის მრავალ განმსაზღვრელ ელემენტს: ვთქვათ, ჭარბი სიბრძნის გასაოცარ და შთამბეჭდავ მაგალითებს; მონდომებულ, ხშირად სასაცილო ანტიკვარიანიზმს, ალტერნატიული ისტორიოგრაფიის უხვად წარმოებას; „ზედმეტ“ სიყვარულს დანაწევრებული, უმნიშვნელო, მორჩენილი პროდუქტების ან ნარჩენების მიმართ; მდიდარ, უაღრესად შემაფერხებელ ემოციურ ნაირსახეობებს; სხვების განსახიერების ექსპერიმენტებით დაუოკებელ აღტაცებას; წარსულისა და აწმყოს,

გაზვიადებული გამეორება და პაროდია, თეატრალურობა, „დაბალი კულტურისთვის“ დამახასიათებელი კომპონენტებისა და ესთეტიკის ჭარბად გამოყენება. უფრო ვრცელი განმარტებისათვის იხილეთ: ანა რეხვიაშვილი, კემპი, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ბმული: <http://dictionary.css.ge/content/camp> [რედაქტორის შენიშვნა].

ისევე როგორც პოპულარული და მაღალი ხელოვნების თავბრუდამხვევ შეპირისპირებას. როგორც და მილერის შემოქმედებაში, ჭარბი სილამაზის, ჭარბი სტილისტური ინვესტიციების, საფრთხის, ზიზღისა და ლტოლვის აუხსნელი ამოფრქვევების შერწყმა, ერთმანეთთან აკავშირებს და აცოცხლებს ძლევამოსილი ნაწილი-ობიექტების ნაზავს ისეთ შრომებში, როგორცაა რონალდ ფირბანკის, ჯუნა ბარნსის, ჯოზეფ კორნელის, კენეთ ენგერის, ჩარლზ ლადლემის, ჯეკ სმითის, ჯონ უოტერსისა და ჰოლი ჰიუზის ნაწარმოებები.

ამ სახელების მოხსენიება, რომელთაგან ზოგიერთი თითქმის ლეგენდარულ „პარანოიდულ“ პიროვნებებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე ამტკიცებს კლაინის დაჟინებულ მოთხოვნას, რომ ადამიანები კი არა, არამედ ცვალებადი მდგომარეობებია – ან, მე მსურს ვთქვა, პრაქტიკებია, – ის, რაც შეიძლება დაიყოს პარანოიდულად და რეპარაციულად; ზოგჯერ სწორედ ყველაზე პარანოიდული ხასიათის მქონე ადამიანები არიან ისინი, რომელთაც შეუძლიათ და სჭირდებათ, განავითარონ და გაავრცელონ უმდიდრესი რეპარაციული პრაქტიკები. და თუ პარანოიდული ან დეპრესიული მდგომარეობები უფრო მცირე მასშტაბით მოქმედებენ, ვიდრე ინდივიდების ტიპებად დაყოფის დონეა, ისინი ასევე მოქმედებენ უფრო დიდ – საერთო ისტორიების, ახალი ჯგუფების ფორმირებას და ჩახლართული ინტერტექსტუალური დისკურსის – დონეზეც.

პრუსტის მსგავსად, რეპარაციული მკითხველი „ისევ და ისევ თავის თავს ეხმარება“; არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ შესაძლებელია ამგვარი რეპარაციული მოტივებისა და პოზიციონირების შესაძლებლობის პოვნა. ტექსტის ან კულტურის მიმართ ნებისმიერი მკითხველის რეპარაციული მოტივის არტიკულირების ლექსიკა, უკვე დიდი ხანია, ისეთი სენტიმენტალური, ესთეტიზებული, თავდაცვითი, ანტიინტელექტუალური ან რეაქციულია, რომ რა გასაკვირია, თუ ძალიან ცოტა კრიტიკოსს სურს ამგვარ მოტივებთან თავისი სიახლოვის აღწერა. მიუხედავად ამისა, ეს ხელისშემშლელი პრობლემა უფრო მეტად არსებული თეორიული ლექსიკის ნაკლოვანებებში მდგომარეობს, ვიდრე თვით რეპარაციულ მოტივში. რეპარაციული კითხვის მდგომარეობა, რომელიც

არანაკლებ მწვავეა, ვიდრე პარანოიდული მდგომარეობა, და ასევე არანაკლებ რეალისტური, არანაკლებ გადარჩენისკენ ორიენტირებული, და არც მეტად ან ნაკლებად ბოდვითი ან ფანტასმაგორიულია, მოიცავს აფექტების, ამბიციებისა და რისკების სხვანაირ დიაპაზონს. ამ პრაქტიკებიდან კი, ალბათ, ყველაზე მეტად ის გზები უნდა ვისწავლოთ, რომელთა საშუალებითაც მრავალი ინდივიდი თუ ჯგუფი წარმატებით ახერხებს საარსებო საშუალებების მოპოვებას კულტურის ობიექტებისგან – თუნდაც იმ კულტურისა, რომლის დეკლარირებული სურვილიც, ხშირად, სწორედ მათი ვერგადარჩენაა.

ბიბლიოგრაფია

1. ბატლერი, ჯუდიტ, „გენდერზე შფოთვა: ფემინიზმი და იდენტობის სუბვერსია“, 1990. [Butler, Judith, “Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity,” New York: Routledge, 1990.]
2. ბერსანი, ლეო, „გამოსყიდვის კულტურა“, 1990. [Bersani, Leo, “The Culture of Redemption,” Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1990.]
3. ელი ადამსი, ჯეიმს, „დენდები და უდაბნოს წმინდანები: ვიქტორიანული მამაკაცობის სტილი“, 1995. [Eli Adams, James, “Dandies and Desert Saints: Styles of Victorian Manhood,” Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1995.]
4. კლაინი, მელანი, „შური და მადლიერება“, 1957. [Klein, Melanie, “Envy and Gratitude,” London: Tavistock, 1957.]
5. კოლუმბიის მოკლე ციტატების ლექსიკონი, 1992. [Concise Columbia Dictionary of Quotations, Microsoft Bookshelf, 1992.]
6. ლაპლანში ჯ. და ჯ.ბ. პონტალისი, „ფსიქოანალიზის ენა“, 1973. [Laplanche J. and J.-B. Pontalis, “The Language of Psycho-Analysis,” trans. Donald Nicholson-Smith, New York: Norton, 1973.]
7. მილერი, დ.ა., „რომანი და პოლიცია“, 1988. [Miller, D. A., “The Novel and the Police,” Berkeley: University of California Press, 1988.]
8. პრუსტი, მარსელ, „დაკარგული დროის ძიებაში“, 1993. [Proust, Marcel, “In Search of Lost Time,” trans. Andreas Mayor and

Terence Kilmartin, revised by D. J. Enright, New York: Modern Library, 1993, 3:303.]

9. რიკორი, პოლ, „ფროიდი და ფილოსოფია: ესე ინტერპრეტაციის შესახებ“, 1970. [Ricoeur, Paul, “Freud and Philosophy: An Essay on Interpretation,” trans. Denis Savage, New Haven and London: Yale University Press, 1970.]

10. რიკორი, პოლ, „ინტერპრეტაცია: ესე ფროიდის შესახებ“, 1964. [Ricoeur, Paul, “De l’interprétation: Essai sur Freud,” 1964.]

11. სეჯვიკი, კოსოვსკი ივ, „გოთიკური კონვენციების თანმიმდევრულობა“, 1986. [Sedgwick, Kosofsky Eve, “The Coherence of Gothic Conventions,” New York: Methuen, 1986.]

12. სლოტერდაიკი, პეტერ, „ცინიკური მიზეზის კრიტიკა“, 1987. [Sloterdijk, Peter, “Critique of Cynical Reason,” trans. Michael Eldred, foreword by Andreas Huyssen, Minneapolis: University of Minnesota Press, 1987.]

13. ფროიდი, ზიგმუნდ, „ზიგმუნდ ფროიდის სრული ფსიქოლოგიური ნაშრომების სტანდარტული გამოცემა“, 1953-. [Freud, Sigmund, “The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud,” ed. James Strachey and trans. James Strachey et al., 24 vols., London: Hogarth Press, 1953-, 12:79, 17:261.]

14. ჰინშელვუდი, რ.დ., „კლაინიანური აზროვნების ლექსიკონი“, 1991. [Hinshelwood, R. D. “A Dictionary of Kleinian Thought,” 2nd ed. Northvale, N.J.: Aronson, 1991.]

15. ოკეგემი, გაი, „ჰომოსექსუალური სურვილი“, 1993. [Hocquenghem, Guy, “Homosexual Desire,” trans. Daniella Dangoor, preface by Jeffrey Weeks, introduction by Michael Moon, Durham, N.C.: Duke University Press, 1993.]

16. ჰოფშტადტერი, რიჩარდ, „პარანოიდული სტილი ამერიკულ პოლიტიკაში და სხვა ესეები“, 1965. [Hofstadter, Richard, “The Paranoid Style in American Politics and Other Essays,” New York: Alfred A. Knopf, 1965.]